პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის №5003-Iს დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

2020 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის
სპეციალური ანგარიში

სარჩევი

შესავალი ... 3

მეთოდოლოგია ... 5

საქართველოს მთავრობა ... 6

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ... 13

საქართველოს პროკურატურა ... 25

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ... 35

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ... 45

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ... 46

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ... 76

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ... 91

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ... 94

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ... 96

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ... 97

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ... 99

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ... 101

ადგილობრივი თვითმმართველობები ... 102

დასკვნა ... 105

შესავალი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ანგარიში შეიცავს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე, იღებს დადგენილებას ან რეზოლუციას. აღნიშნული აქტებით პარლამენტი აფასებს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ და სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესასრულებლად დავალებებს აძლევს სახელმწიფო უწყებებს.[1] უწყებების მიერ პარლამენტის დავალებების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, შეაფასოს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის საფუძველზე, 2019 წლის 20 სექტემბერს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება[2] და დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო უწყებებისთვის პარლამენტის მიერ მიცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა. ასევე მიმოვიხილავთ საპარლამენტო დავალებების შესაბამისად ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითად ტენდენციებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახელმწიფო უწყებებს და ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებს 310 რეკომენდაციით მიმართა. საქართველოს პარლამენტმა, 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად, სახელმწიფო უწყებებს 259 დავალება მისცა.[3] **პარლამენტმა**

---

[1] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის პირველი პუნქტი

[2] საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის N5003-Iს დადგენილება, „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.

[3] აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პარლამენტმა სახალხო დამცველის 259 რეკომენდაცია გაიზიარა.259 საპარლამენტო დავალებიდან 11 დავალება არ ფასდება, როგორც პარლამენტის მიერ გაზიარებული რეკომენდაცია, ვინაიდან არ შეესაბამება სახალხო დამცველის რეკომენდაციებს. დამატებით, პარლამენტმა სახალხო დამცველის მიერ გაცემული 2 რეკომენდაციის ტექსტის ახლებური ფორმულირებით 4 საპარლამენტო დავალება გასცა, ხოლო ერთი სახელმწიფო უწყების მიმართ

დადგენილებაში სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციების დაახლოებით 78% გაიზიარა.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილებაში პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშის 60 რეკომენდაცია. ტენდენციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილის მიზანი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, მათ შორის თავშესაფრის მაძიებელთა, და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დაცვა, უსახლკარო პირთა და ლგბტ+ თემის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე განათლების უზრუნველყოფა. დადგენილებაში ასევე არ ასახულა სახალხო დამცველის ის რეკომენდაციები, რომლებიც ძალოვან უწყებებს გამჭირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისკენ მოუწოდებდა. მაგალითად, როგორიცაა: სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე სამართალდამცავების სამხრე კამერებით აღჭურვა, პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს, მოწმეს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა და სხვა.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს პარლამენტს 39 წინადადებით მიმართა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის მიმართ გაცემული წინადადებების შესრულების საკითხზე მსჯელობისთვის, საქართველოს პარლამენტში, დადგენილებით განსაზღვრული[4] სამუშაო ჯგუფი 2020 წლის 24 თებერვალს შეიქმნა.[5] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში, რეკომენდაციები და წინადადებები სისტემური ხასიათის პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად, ამდენად მათზე დროული და ეფექტიანი რეაგირება, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებთ, სამუშაო ჯგუფი დროულად შეუდგება საქმიანობას და აქტიურად გადაიდგმება ნაბიჯები ჩვენი წინადადებების შესასრულებლად.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ასახული 259 დავალების შესრულების შეფასებას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების ტექსტის ფორმულირების ან ადრესატი უწყების ცვლილების გამო, 259 საპარლამენტო დავალებიდან 18 დავალება არ დაექვემდებარა შეფასებას. კერძოდ, 11 საპარლამენტო დავალებასთან მიმართებით საქართველოს პარლამენტმა, სახელმწიფო უწყებებს, სახალხო დამცველის რეკომენდაციებისგან

გაცემული რეკომენდაცია 3 უწყებას მიმართა სამი დამოუკიდებელი დავალების სახით. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო უწყებების მიმართ გაცემული 259 დავალება, სახალხო დამცველის 244 რეკომენდაციიდან გამომდინარეობს.

[4] საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის N5003-Iს დადგენილება, „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, პუნქტი 17.

[5] საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის, 2020 წლის 26 თებერვლის №2437/4-2-1/20 წერილი.

განსხვავებული მიზნები დაუდგინა. ხოლო დარჩენილი 7 დავალების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის რეკომენდაციების ადრესატი უწყება შეცვალა. აღნიშნულის გამო, დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

ასევე სახელმწიფო უწყებების მიერ, საქართველოს პარლამენტისა და სახალხო დამცველის აპარატისთვის შესაბამისი, რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, შეუძლებელია დამატებით 8 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება. საქართველოს სახალხო დამცველი ყველა სახელმწიფო უწყებას შეახსენებს, რომ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ისინი შებოჭილნი არიან ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის აპარატისთვის ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ორგანოს აკისრია. მნიშვნელოვანია, ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოხატოს პოლიტიკური ნება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დასაცავად, რაც შემდგომში უზრუნველყოფს წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემების მოგვარებას.

ასევე, დამატებით 8 საპარლამენტო დავალების შესრულება, ცალკეული სახელმწიფო უწყებებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას. აღნიშნულის მიზეზია რიგ შემთხვევებში, შეცვლილი სამართლებრივი გარემოებები, რამაც დავალების შესრულება არარელევანტური გახადა.

წინამდებარე ანგარიშში სახელმწიფო უწყებების მიხედვით წარმოგიდგენთ თითოეული საპარლამენტო დავალების შესრულების სტატუსს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასება ეფუძნება შემდეგ წყაროებს.

- სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;
- სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგები;
- სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია;
- საჯარო სივრცეში განთავსებული ინფორმაცია;
- პარლამენტის დადგენილებით მიცემული დავალებების შესრულების თაობაზე უწყებების მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ინფორმაციები.

განსახილველი ანგარიშის მიზნებისთვის, სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობა, შეფასდება 2019 წელს განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდად აგრეთვე მოიაზრება 2020 წელს განხორციელებული საქმიანობა, რომელიც 2019 წელს დაწყებული აქტივობის დასრულებას ისახავდა მიზნად. უწყებების მიერ თითოეული დავალების შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილი იქნება პარლამენტის დადგენილების ქრონოლოგიის მიხედვით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, სპეციალურ ანგარიშზე მუშაობის პროცესში, საპარლამენტო დავალების ადრესატი ყველა უწყებისგან გამოითხოვა ინფორმაცია. აპარატმა, საპარლამენტო დავალებების შეფასების მიზნით რამდენჯერმე დამაზუსტებელი შეკითხვებითაც მიმართა უწყებებს.

ანგარიშში წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების ზოგადი ტენდენცია. იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშში ცალკეული მუნიციპალიტეტების მიერ დავალებების შესრულების ხარისხი არ იქნება ინდივიდუალურად განხილული, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის შედეგები, საერთო სტატისტიკურ მონაცემში არ აისახება.

საქართველოს მთავრობა

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს მთავრობის მიმართ 13 დავალება გაიცა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში არსებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია 11 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება. ორი საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით გამოთხოვილ ინფორმაციაზე, სახალხო დამცველის აპარატს ამ დრომდე პასუხი არ მიუღია.[6]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საპარლამენტო დადგენილებაში ასახული რეკომენდაციის ტექსტის ცვლილებამ ერთ შემთხვევაში შინაარსი გამოაცალა სახალხო

[6] დამატებითი ინფორმაცია გამოთხოვილია საქართველოს მთავრობისადმი საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის №5003-Iს დადგენილების („2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე), „ზ" და „ი" პუნქტებით განსაზღვრული საპარლამენტო დავალების შესრულების შესახებ.

დამცველის რეკომენდაციას, შესაბამისად იგი შეფასდა როგორც პარლამენტის მიერ არ გაზიარებული რეკომენდაცია.

საქართველოს მთავრობის/მთავრობის ადმინისტრაციის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა: 2

არ შესრულდა: 4

ნაწილობრივ შესრულდა: 4

რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ვერ შეფასდა: 2

პარლამენტის მიერ სახალხო დაცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო

შეფასებას არ ექვემდებარება: 1

საპარლამენტო დავალებები:

ა) შეიმუშაოს გეგმა, რომლის მიზანი იქნება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს სტამბოლის ოქმით დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელება;

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში, 2019 წელს არ შემუშავებულა გეგმა, რომელიც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს უზრუნველყოფდა სტამბოლის ოქმით დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელებას;

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) უზრუნველყოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების დროულად გამოყოფა;

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, 2019 წლის 11 სექტემბერს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი გამოეყო.[7]

[7] საქართველოს მთავრობის, 2019 წლის 11 სექტემბრის N1947 განკარგულება;

საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძვლად სახელმწიფო ინსპექტორის საბიუჯეტო დაფინანსება გაიზარდა 1 600 000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარით.[8]

„2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო ინსპექტორის დაფინანსება, წინა წელთან შედარებით გაზრდილია 3 600 000 (სამი მილიონ ექვსასი ათასი) ლარით და შეადგენს 8 000 000 (რვა მილიონ) ლარს.[9]

შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით გაცემული დავალება შესრულებულად უნდა შეფასდეს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

გ) უსინათლო და მცირემხედველი პირები უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის ბრაილის შრიფტით ან სხვა, ალტერნატიული ფორმით შედგენილი განცხადებით მიმართვის შესაძლებლობით;

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობის დანერგვის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად, უსინათლო ან მცირემხედველი პირები უზრუნველყოფილნი არიან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის ბრაილის შრიფტით ან სხვა, ალტერნატიული ფორმით შედგენილი განცხადებით მიმართვის შესაძლებლობით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

დ) გააძლიეროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინაცია გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გამართვის მიზნით;

2019 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ, უწყებათაშორისი კომისიის ინიციატივით, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული გენდერული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმა, რომელიც 2019 წლის აგვისტოში დამტკიცდა. აგრეთვე საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო რწმუნებულების მიერ, განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეები.

---

[8] საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში, 2019 წლის 18 ნოემბერს შეტანილი ცვლილებები;

[9] საქართველოს კანონის, საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მუხლი -16, პროგრამული კოდი-5100;

აღნიშნული დავალება მიზნად ისახავდა ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან კოორდინაციის გაძლიერებას, რომელიც ხელს შეუწყობდა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გამართვას. საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის დამტკიცება, პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობების საჭიროებებიდან გამომდინარე, პლატფორმის დამტკიცება ვერ შეფასდება საპარლამენტო დავალების შესრულების თვითკმარ საშუალებად, რადგან აღნიშნული ფორმატი წარმოადგენს კოორდინაციის გაძლიერების შესაძლო წინაპირობას და ვერ შეფასდება ვალდებულების სრულყოფილ შესრულებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

<u>ე) გააგრძელოს მუშაობა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დასაბრუნებლად;</u>

ა) საქართველოს მთავრობისთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დასაბრუნებლად,* ***გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები, შემუშავდეს შესაბამისი კანონმდებლობა*** *და ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური ნაგებობები ისტორიულ მესაკუთრე რელიგიურ გაერთიანებებს დაუბრუნდეს".*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშით, საქართველოს მთავრობას მიეცა რეკომენდაცია, გაეტარებინა ეფექტიანი ღონისძიებები და შეემუშავებინა შესაბამისი კანონმდებლობა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რელიგიური ნაგებობების ისტორიულ მესაკუთრე რელიგიურ გაერთიანებებისთვის დაბრუნების მიზნით, ხოლო საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს მთავრობას დაევალა, მხოლოდ მუშაობის გაგრძელება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულების ინდიკატორს, შესაბამისი ეფექტიანი ღონისძიებების გატარება და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება წარმოადგენს. საქართველოს პარლამენტმა, რეკომენდაციის ტექსტის ფორმულირების ცვლილებით, არსებითი ხასიათის გავლენა მოახდინა მის შინაარსზე და საქართველოს მთავრობას მხოლოდ საკითხზე მუშაობის გაგრძელება დაავალა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ვ) მუნიციპალიტეტებისთვის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა), ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის გათვალისწინებით, დროებითი ღონისძიების სახით დაამტკიცოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამა;

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ზ) შეიმუშაოს საქართველოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით აღიარებული საშინაო ვალის ანაზღაურების პროცედურები, მათ შორის, განსაზღვროს პირველ რიგში დასაკმაყოფილებელ პირთა რიგითობა და დაზარალებული მოსახლეობის წინაშე აღიარებული ვალდებულებების შესრულების ეფექტიანი მექანიზმი იმგვარად, როგორც ეს განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში;

აღნიშნული საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან. უწყების მიერ წარმოდგენილი პასუხი არ იყო სრულყოფილი, რის გამოც ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, განმეორებით მივმართეთ მთავრობის ადმინისტრაციას, თუმცა უწყების მხრიდან განმეორებით მიმართვაზე პასუხი არ მიგვიღია.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტისთვის მიწოდებული ინფორმაციაც არ იძლევა აღნიშნული დავალების შეფასების შესაძლებლობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: სახელმწიფო უწყების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

თ) გააძლიეროს საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მუშაობა და მის მიერ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებული ვალდებულებების დროულად შესასრულებლად;

„სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით,

2004 წლის 15 ნოემბრის N108 დადგენილების საფუძველზე, შექმნილია საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია.[10]

საანგარიშო პერიოდში არ გააქტიურებულა კომისიის მუშაობა და შესაბამისად, კომისიის მიერ არ გაცემულა ისეთი რეკომენდაცია/ები, რომლებიც სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებული ვალდებულებების დროულ შესრულებას გახდიდა შესაძლებელს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ი) უზრუნველყოს სამინისტროების მიერ მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების/ობიექტების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სტატისტიკის წარმოება;

აღნიშნული საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან, თუმცა უწყების მიერ წარმოდგენილი პასუხი არ იყო სრულყოფილი, რის გამოც ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, განმეორებით მივმართეთ მთავრობის ადმინისტრაციას, უწყების მხრიდან განმეორებით მიმართვაზე პასუხი არ მიგვიღია.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტისთვის მიწოდებული ინფორმაციაც არ იძლევა აღნიშნული დავალების შეფასების შესაძლებლობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: სახელმწიფო უწყების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

კ) მისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას გაითვალისწინოს ნებისმიერი სახის შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები;

ლ) მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გადაწყვეტილებების მიღებისას კონსულტაციების პროცესში მაქსიმალურად ჩართოს შესაბამისი სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები;

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, მისაწვდომობის საკითხის შესახებ

[10] საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის N108 დადგენილება, „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ;

გადაწყვეტილების მიღებისას რიგ შემთხვევებში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები.[11]

კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ კონკურსში 9 პროექტმა გაიმარჯვა, რომლებიც ემსახურებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას და ჩართულობას.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ აღნიშნული პროექტების განხორციელება წინ გადადგმულ ნაბიჯად ფასდება, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებების გათვალისწინებით, აღნიშნული ღონისძიებები, საპარლამენტო ვალდებულების შესრულების პროცესში ვერ შეფასდება თვითკმარ, სრულყოფილ საშუალებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: „კ" და „ლ" პუნქტებით განსაზღვრული დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

მ) დაბერების საკითხზე სამოქმედო დოკუმენტით განსაზღვრული ამოცანების შესაბამის ვადებში შესრულების უზრუნველსაყოფად შექმნას ქმედითი საკოორდინაციო მექანიზმი;

2019 წელს დაბერების საკითხზე სამოქმედო დოკუმენტით განსაზღვრული ამოცანების შესაბამის ვადებში შესრულების უზრუნველსაყოფად არ შექმნილა საკოორდინაციო მექანიზმი.

საქართველოს მთავრობასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში, მხოლოდ 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშის გამოქვეყნება იყო უზრუნველყოფილი.

აღნიშნული საქმიანობა არ არის კავშირში საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების შესრულებასთან.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

[11] 2019 წელს, ზოგადი განათლების საფეხურზე, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის მიმართულებით: დასრულდა 6 საჯარო სკოლის მშენებლობა, მიმდინარეობს 12 საჯარო სკოლის მშენებლობა, წლის ბოლომდე დაიწყება 19 საჯარო სკოლის მშენებლობა, ასევე დასრულდა 37 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, სადაც სრულად გათვალისწინებულია ადაპტირებული გარემოს შექმნა. ასევე, აღნიშნულ პერიოდში 50-მდე საჯარო სკოლაში განხორციელდა პანდუსების და სხვა ხელმისაწვდომობის მოწყობა;

ნ) ყურადღება მიაქციოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობის გაზრდისა და გაუმჯობესების საკითხს კადრების მოზიდვის, მომზადებისა და გადამზადების გზით.

საქართველოს მთავრობასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფოს უწყებების ცალკეული წარმომადგენლები ასრულებენ საქართველოს პარლამენტის დავალებას, რაც გამოიხატება შესაბამისი სტაჟირების და გადამზადების პროგრამების უზრუნველყოფით. 2017 წლის 14 დეკემბერს „საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის N410 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა" შესაძლებლობა მიეცათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიეღოთ სათანადო გამოცდილება. აღნიშნული ცვლილების შედეგად, 2019 წლის მონაცემებით სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში სტაჟირება 294-მა ახალგაზრდამ გაიარა. აღნიშნული პოზიტიური აქტივობის მიუხედავად, სახელმწიფო უწყებების მნიშვნელოვან ნაწილში, კადრების მოძიების ან სხვა საგანმანათლებლო პროექტების უზრუნველყოფის გზით არ იზრდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ 31 დავალება გაიცა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის დაბალი ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ უწყება ვალდებული იყო კანონით დადგენილ ვადაში მოეწოდებინა ინფორმაცია, სამინისტროს ამ დრომდე არ მოუწოდებია საპარლამენტო დავალებების შეფასების მიზნით სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია. აღნიშნულის გამო, იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული ხუთი საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

სახალხო დამცველის აპარატში არსებული მონაცემების საფუძველზე ქვემოთ წარმოგიდგენთ იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული 25 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის სტატუსს.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ იუსტიციის სამინისტროსგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კერძოდ უწყებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საპარლამენტო დადგენილებაში ასახული ერთ-ერთი დავალება აღარ ექვემდებარება შეფასებას.[12]

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა: 5

არ შესრულდა: 16

ნაწილობრივ შესრულდა: 4

ობიექტური საფუძვლით შეფასებას არ ექვემდებარება: 1

რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ვერ შეფასდა: 5

საპარლამენტო დავალებები:

ა) განსაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული ექიმის ვალდებულება, საგამოძიებო ორგანოს გაუგზავნოს შეტყობინება არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული ექიმებისთვის არ განსაზღვრულა ისეთი ვალდებულება, რომლის მიხედვითაც არასათანადო მოპყრობის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, ექიმი ვალდებული იქნებოდა შეტყობინება გაეგზავნა დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოში.ექიმი შეტყობინებას იუსტიციის სამინიტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს უგზავნის, რომელიც არ წარმოადგენს ინსტიტუციურად დამოუკიდებელ უწყებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) მიიღოს ყველა ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოვლენისა და ხარისხიანი დოკუმენტირებისთვის შემუშავდეს სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებითაც განისაზღვრება ექიმის მიერ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის შესაბამისად დოკუმენტირებისას საეჭვო დაზიანებების შერჩევის კრიტერიუმები;

[12] საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის №5003-Iს დადგენილებაში, იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული „ზ“ დავალება;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოვლენისა და ხარისხიანი დოკუმენტირების მიზნით არ შემუშავებულა სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ დოკუმენტი, შესაბამისად არ განსაზღვრულა ექიმის მიერ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი და საეჭვო დაზიანებების შერჩევის კრიტერიუმები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსების მაქსიმალურ ვადად განსაზღვროს 24 საათი; დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსებისას უზრუნველყოს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმისა და პენიტენციური დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომელთა ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად; დეესკალაციის ოთახში შექმნას უსაფრთხო გარემო; განსაზღვროს, რომ დეესკალაციის ოთახში ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისას ჩაწერილი მასალა არანაკლებ 1 თვის ვადით არქივდებოდეს;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსების მაქსიმალურ ვადად კვლავ არ არის განსაზღვრული 24 საათი. საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალების მიუხედავად, დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას არ არის უზრუნველყოფილ ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის და სხვა სამსახურების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა, შესაძლო რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად.

დეესკალაციის ოთახში ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისას ჩაწერილი მასალის არანაკლებ 1 თვის ვადით დაარქივების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის, 2019 წლის 13 მაისის N 403 ბრძანება - „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც გადაღებული მასალა **არანაკლებ 30 დღის** განმავლობაში ინახება.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად არ არის შესრულებული საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალება- დეესკალაციის ოთახში ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისას ჩაწერილი მასალის არანაკლებ 1 თვის ვადით დაარქივებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო უწყების მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომლის შედეგად გადაღებული მასალა არანაკლებ 30 დღის განმავლობაში ინახება, ფაქტობრივად მიემართება სახალხო დამცველის რეკომენდაციის ძირითად სულისკვეთებას.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების არსებითი ნაწილების შესრულების მიზნით, იუსტიციის სამინისტროს არ განუხორციელებია შესაბამისი საქმიანობა დავალება შეუსრულებლად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

დ) გაზარდოს პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა;

საქართველოს იუსტიციის მინისტრის, 2019 წლის 13 მაისის N 403 ბრძანების - „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადად განისაზღვრა 30 დღე.[13]

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ე) განსაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებისას და უშუალოდ რისკის შეფასების პროცესის დაწყებისას მსჯავრდებულისთვის რისკის შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება;

ვ) განსაზღვროს მსჯავრდებულის უფლება, რისკის შეფასების პროცესში წარადგინოს საკუთარი პოზიცია და მოსაზრება იმ გარემოებების შესახებ, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება მისი რისკი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ არ განსაზღვრულა პენიტენციური სამსახურის ვალდებულება, დაწესებულებაში შესახლებისას და უშუალოდ რისკის შეფასების პროცესის დაწყებისას, მსჯავრდებულს მიაწოდოს ინფორმრაცია რისკის შეფასების პროცედურებისა და კრიტერიუმების შესახებ. აგრეთვე უწყებას არ აღუჭურვავს მსჯავრდებული უფლებით, რომლის მიხედვითაც მას ექნებოდა შესაძლებლობა, რისკის შეფასების პროცესში წარედგინა საკუთარი პოზიცია და მოსაზრება იმ გარემოებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება მისი რისკი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: „ე" და „ვ" პუნქტით განსაზღვრული დავალება არ არის შესრულებული.</u>

ზ) მიიღოს ყველა ზომა, რათა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ ზედამხედველობა გაუწიოს, გააკონტროლოს და უზრუნველყოს იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც გულისხმობს, რომ უსაფრთხოების მოტივით

---

[13] საქართველოს იუსტიციის მინისტრის, 2019 წლის 13 მაისის N 403 ბრძანება - „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მსჯავრდებულის ერთი ტიპის პენიტენციური დაწესებულებიდან მეორე ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში 20 დღის ვადაში უნდა გადაფასდეს მსჯავრდებულის რისკი და იგი რისკის შესაბამისი ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა იქნეს გადაყვანილი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურ სამსახურში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ერთი პენიტენციური დაწესებულებიდან მეორე ტიპის დაწესებულებაში პირის გადაყვანის შემთხვევაში, აღარ ხდება პატიმრის რისკის გადაფასება.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, განსახილველი საპარლამენტო დავალების შეფასების საჭიროება აღარ არსებობს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება:</u> პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სახელმწიფო უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზით დავალების შესრულების მდგომარეობა **არ ექვემდებარება შეფასებას.**

თ) მიიღოს ყველა ზომა, რათა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ ზედამხედველობა გაუწიოს, გააკონტროლოს და უზრუნველყოს იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც გულისხმობს, რომ ვადაზე ადრე მსჯავრდებულის რისკის გადაფასების მოთხოვნის შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა დეტალურად მიუთითოს ის გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც იქნა მოთხოვნილი მსჯავრდებულის რისკის ცვლილება;

აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან არ მიუღია გამოთხოვილი ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი განსახილველი დავალების სრულყოფილად შესაფასებლად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: სახელმწიფო უწყების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ი) მიიღოს ყველა ზომა, რათა №16 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა რაოდენობა გაიზარდოს მათი რაოდენობის სხვა დაწესებულებებში შემცირების ხარჯზე;

საანგარიშო პერიოდში N16 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა რაოდენობა 58-ით გაიზარდა. სახალხო დამცველის აპარატი პოზიტიურად აფასებს აღნიშნული ზრდის დინამიკას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

კ) უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში სარეაბილიტაციო პროგრამების უფრო მეტი პატიმრისთვის განხორციელება;

სახალხო დამცველის აპარატის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად, აპარატმა უწყებისგან ვერ მიიღო პასუხი პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამებში პატიმართა ჩართულობის დინამიკის შესახებ.

აღნიშნულის მიუხედავად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული საპარლამენტო დავალება არ არის შესრულებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ლ) პენიტენციურ დაწესებულებებში გაზარდოს ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობა;

სახალხო დამცველის აპარატის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად, აპარატმა უწყებისგან ვერ მიიღო აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია.

აღნიშნულის მიუხედავად, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა იუსტიციის სამინისტროს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისთვის 2019 წლის ვიზიტის ანგარიშთან დაკავშირებით გაგზავნილი პასუხები, საიდანაც დგინდება რომ 2019 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში წინა წელთან შედარებით 12-ით მეტი ფსიქოლოგი, ხოლო 8-ით ნაკლები სოციალური მუშაკია დასაქმებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

მ) უზრუნველყოს იმ სოციალური მუშაკების გადამზადება, რომელთაც არ აქვთ სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის, მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, 2019 წელს, პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული 90 სოციალური მუშაკიდან, გადამზადდა 13 თანამშრომელი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ნ) გააფართოოს პენიტენციური დაწესებულების სოციალური განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან არ მიუღია გამოთხოვილი ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი განსახილველი დავალების სრულყოფილად შესაფასებლად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: სახელმწიფო უწყების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობისგამო საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ო) დაიწყოს მუშაობა პატიმართა დასაქმების წახალისების მექანიზმის შემოსაღებად, რომლის მეშვეობითაც პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულს მოსახდელი სასჯელის ვადა ნამუშევარი დღეების შესაბამისად შეუმცირდება;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა პატიმართა დასაქმების წახალისების ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მსჯავრდებულს მოსახდელი სასჯელის ვადას ნამუშევარი დღეების შესაბამისად შეუმცირებდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

პ) გადადგას ნაბიჯები №15 პენიტენციურ დაწესებულებაში გადატვირთულობის პრობლემის გადასაჭრელად და ამ პროცესში უფრო მეტად გაითვალისწინოს პატიმრის ოჯახის საცხოვრებელი ადგილი;

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„2019 წელს, მიიღოს ყველა ზომა, რათა №15 დაწესებულებაში, გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად, მსჯავრდებულები გადაიყვანონ სხვა ნახევრად ღია დაწესებულებაში და ამ პროცესში გაითვალისწინონ მსჯავრდებულების ოჯახის საცხოვრებელი ადგილი. ანალოგიურად, №2 დაწესებულებაში, გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად, პატიმრები გადაიყვანონ იმავე ტიპის სხვა დაწესებულებაში და ამ პროცესში გაითვალისწინონ პატიმართა ოჯახის საცხოვრებელი ადგილი"*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია N15 და N2 პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად, მსჯავრდებულები გადაიყვანონ სხვა ნახევრად ღია დაწესებულებაში და ამ პროცესში გაითვალისწინონ მსჯავრდებულების ოჯახის საცხოვრებელი ადგილები.

საქართველოს საპარლამენტო დადგენილებით, იუსტიციის სამინისტროს, მხოლოდ N15 დაწესებულებაში არსებული გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება დაევალა. შესაბამისად საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ არის გაზიარებული.

სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა ისეთი საქმიანობა, რომელიც ხელს შეუწყობდა N15 დაწესებულებაში არსებული გადატვირთულობის პრობლემის მოგვარებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჟ) №17 პენიტენციურ დაწესებულებაში გააუქმოს ე. წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„2019 წელს, მიიღოს ყველა ზომა, №2, №8, №14, №15, №17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმრის 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფად; გაუქმდეს №17 დაწესებულებაში ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები"*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, ერთი მხრივ, უზრუნველეყო №2, №8, №14, №15 და №17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმარი 4 კვ.მ საცხოვრებელი ფართით, ხოლო მეორე მხრივ, გაეუქმებინა №17 დაწესებულებაში არსებული ე.წ ბარაკის ტიპის საცხოვრებლები.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, იუსტიციის სამინისტროს მხოლოდ №17 დაწესებულებაში არსებული ე.წ ბარაკის ტიპის საცხოვრებლების გაუქმება დაევალა.

შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ არის გაზიარებული.

სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული.

ბ) პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ №17 დაწესებულებაში კვლავ არ არის გაუქმებული ე.წ ბარაკის ტიპის საცხოვრებლები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

რ) მიიღოს ყველა ზომა, რათა პატიმრებისთვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად №2, №5, №8, №14, №15, №17, №18 და №19 პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, №3, №8 და №14 დაწესებულებებში – სათანადო განათება, №2, №3, №5, №6, №8, №9, №14, №15 და №17 დაწესებულებებში – შესაბამისი ვენტილაცია;

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2019 წელს განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ N2, N3, N14 და N15 დაწესებულებებში საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალებები იუსტიციის სამინისტროს მიერ არ არის შესრულებული.

დავალებაში მითითებული დაწესებულებების შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, უწყებამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნულ მექანიზმს არ მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, რამაც შეუძლებელი გახადა საპარლამენტო დავალების შესრულების სრულყოფილი შეფასება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: N2, N3, N14 და N15 დაწესებულებებში, დავალება არ არის შესრულებული.</u>

ს) მიიღოს ყველა ზომა პენიტენციური დაწესებულებების პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით აღჭურვისთვის;

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ N2, N3, N14, N14 და N15 დაწესებულებებში პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები არ ყოფილა უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით და ინვენტარით.

დავალებაში მითითებული დაწესებულებების შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, უწყებამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნულ მექანიზმს არ მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, რამაც შეუძლებელი გახადა საპარლამენტო დავალების შესრულების სრულყოფილი შეფასება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: N2, N3, N14 და N15 დაწესებულებებში დავალება არ არის შესრულებული.</u>

ტ) მიიღოს ყველა ზომა, რათა ამბულატორიული პაციენტის (პატიმრის) სამედიცინო ბარათის შევსებისას დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად ყოველი წლის ბოლოს დაიწეროს შემაჯამებელი/წლიური ეპიკრიზი, რომელშიც მოკლედ აისახება გასული წლის განმავლობაში აღნიშნული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დინამიკა, ჩატარებული კონსულტაციები, განხორციელებული რეფერალი, ჩატარებული გამოკვლევები, დასმული დიაგნოზები, ჩატარებული მკურნალობა და მისი შედეგები;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყება არ იზიარებს საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალების მოთხოვნებს, რომელიც გულისხმობს ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის შევსებისას დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად ყოველი წლის ბოლოს დაიწეროს

შემაჯამებელი ეპიკრიზი, სადაც მოკლედ აისახება წლის განმავლობაში პაციენტის მდგომარეობის დინამიკა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

უ) მიიღოს ყველა ზომა პენიტენციურ დაწესებულებებში არაგადამდები დაავადებების სკრინინგის ჩასატარებლად;

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, სამედიცინო დეპარტამენტის ინიციატივით დაგეგმილი პრევენციული სამედიცინო გასინჯვები 2019 წლის 13 აპრილიდან დაიწყო და ეტაპობრივად მთელი საქართველო მოიცვა. არსებული მონაცემების თანახმად საერთო ჯამში ჩატარდა 4743 კონსულტაცია/გამოკვლევა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ფ) მიიღოს ყველა ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებთან რეგულარული შეხვედრებით და საინფორმაციო კამპანიის ჩატარებით უზრუნველყოფილ იქნეს პატიმართათვის პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების, პრევენციული ჯანმრთელობის დაცვისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად არ გამოიკვეთა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფდა პატიმართათვის პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების, პრევენციული ჯანმრთელობის დაცვისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ქ) ეტაპობრივად მიიღოს ყველა ზომა №2, №3, №6, №7, №8, №9, №12, №14, №15, №17, №18 და №19 პენიტენციურ დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნების მინის ბარიერის გარეშე განსახორციელებლად;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დაწყებულია მუშაობა ხანმოკლე პაემნების მინის ბარიერის გარეშე განსახორციელებლად. N12, N5, N2 და N6 პენიტენციურ დაწესებულებაში უკვე მოწყობილია ინფრასტრუქტურა მინის ბარიერის გარეშე ხანმოკლე პამნებისთვის, თუმცა ყველა დაწესებულებაში აღნიშნული შესაძლებლობა არ არის უზრუნველყოფილი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ღ) მიიღოს ყველა ზომა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ტელეფონის ისეთ ადგილას მოსათავსებლად, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნება,

სატელეფონო ზარი დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე განახორციელოს;

პატიმრის მიერ სატელეფონო საუბრის, მიყურადების გარეშე განხორციელების მიზნით 2018-2019 წლებში, N3, N6 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსთა სატელეფონო ჯიხურები. სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ არსებული ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმრის მიერ სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების რისკის გარეშე განხორციელების შესაძლებლობას

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ყ) პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებს ჩაუტაროს პროფესიული გადაწვის ტრენინგი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, პარლამენტის დადგენილებით მიცემული დავალებების შესრულების თაობაზე საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში პენიტენციური დეპარტამენტის „ესკორტის ოფიცერთა საორიენტაციო კურსის" ფარგლებში 122 ესკორტის ოფიცერს ჩაუტარდა ტრეინინგი, რომელიც მოიცავდა პროფესიული სტრესის მართვის კომპონენტს. აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსთან (INL) თანამშრომლობის ფარგლებში 37 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი ჩართული იყო პროფესიული გადაწვის ტრენინგში.

მიუხედავად განხორციელებული პოზიტიური საქმიანობისა, საპარლამენტო დავალება სრულყოფილად შესრულებულად ვერ შეფასდება, იმდენად რამდენადაც პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მნიშვნელოვან ნაწილს პროფესიული გადაწვის ტრენინგი გავლილი არ აქვს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

შ) მიიღოს ყველა ზომა პენიტენციური დაწესებულებების ყველა თანამშრომლისთვის ზეგანაკვეთური სამუშაოს ასანაზღაურებლად;

ჩ) მიიღოს ყველა ზომა, რათა პენიტენციური დაწესებულებების ყველა თანამშრომელს მიეცეს შვებულების სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობა;

აღნიშნული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან არ მიუღია გამოთხოვილი ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი განსახილველი დავალებების სრულყოფილად შესაფასებლად..

<u>სახალხო დამცველის შეფასება: სახელმწიფო უწყების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ც) პენიტენციური დაწესებულებების სხვა თანამშრომელთა მსგავსად, სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოს კანცელარიის თანამშრომლები, იურისტები და ბუღალტრები;

პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლები - იურისტები, ბუღალტრები და კანცელარიის თანამშრომლები, უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო დაზღვევის მომსახურებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ძ) მიიღოს ყველა ზომა, რათა ყველა პენიტენციური დაწესებულების პერსონალი უზრუნველყოფილ იქნეს დაწესებულებაში სათანადო კვებით, აგრეთვე მისთვის დაწესებულებაში გამოიყოს სასადილო ოთახი;

სახალხო დამცველის, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პენიტენციური დაწესებულებების პერსონალი უზრუნველყოფილია სათანადო კვებით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

წ) პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შესაბამისი ცვლილების შეტანით მოხსნას ან გაზარდოს პატიმრისთვის ოფიციალური დოკუმენტების შენახვაზე დაწესებული ფურცლების ლიმიტი მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებით;

საანგარიშო პერიოდში, პენიტენციური დაწესებულებების დებულებაში არ განხორციელებულა ისეთი ცვლილებები, რომლებიც გაზრდიდა ან მოხსნიდ პატიმრისთვის ოფიციალური დოკუმენტის შენახვაზე დაწესებულ ფურცლების ლიმიტს, სისხლის სამართლის მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული:</u>

ჭ) დაგეგმოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ბავშვთა ინტერესებისა და საჭიროებებისთვის მორგებული პროფესიული და სხვა საგანმანათლებლო/სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება, რაც არასრულწლოვან მსჯავრდებულებს საშუალებას მისცემს, სასურველ პროფესიას დაეუფლონ, აგრეთვე უზრუნველყოფს რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიან წარმართვას;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ არ ყოფილა უზრუნველყოფილი N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული

არასრულწლოვნები ისეთი პროგრამებით, რომლებიც მათ სასურველი პროფესიის დაუფლებაში ან/და რეაბილიტაციის პროცესში დაეხმარებოდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ხ) საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავი ქონების აღრიცხვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, ხოლო დამატებითი კონსულტაციების საჭიროების შემთხვევაში დისკუსია ყველა უწყებისა და დაინტერესებული ჯგუფის მონაწილეობით წარმართოს.

აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან არ მიუღია გამოთხოვილი ინფორმაცია. სახელმწიფო უწყებას აღნიშნული დავალების შესრულების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს პარლამენტშიც არ წარუდგენია ინფორმაცია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: სახელმწიფო უწყების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

საქართველოს პროკურატურა

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტმა, დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, საქართველოს გენერალურ პროკურატურას 23 დავალება მისცა.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სახალხო დამცველის აპარატს არ მიაწოდა ინფორმაცია საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე, რამაც აპარატს არსებითად გაურთულა საქმიანობის განხორციელება. მიუხედავად ამისა, საჯარო სივრცეში არსებული ინფორმაციის, აგრეთვე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შევაფასეთ პროკურატურის მიმართ გაცემული ყველა საპარლამენტო დავალება.

23 საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

შესრულდა: 5

არ შესრულდა: 6

ნაწილობრივ შესრულდა: 2

პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო შეფასებას არ ექვემდებარება: 4

ობიექტური საფუძვლით შეფასებას არ ექვემდებარება: 6

საპარლამენტო დავალებები:

ა) თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ ძალის გამოყენების პროპორციულობის შესაფასებლად გამოძიება ეფექტიანად, ზედმიწევნით, დროულად და გამჭვირვალედ აწარმოოს

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე (დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით) გამოძიება დაიწყო, ხოლო 2020 წლის 25 იანვარს, შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, საქმეზე გამოძიება შეწყვიტა. ამავე წლის თებერვალში თბილისის პროკურატურაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი სრულად გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო არ არღვევს სიცოცხლის უფლებას, თუ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოყენებული ძალა „აბსოლუტურად აუცილებელი" და მიზნის მიღწევის პროპორციულია.[14] იმის დასადგენად, იყო თუ არა სპეციალური ოპერაციების თანამშრომლების მიერ ლეტალური იარაღის გამოყენება განპირობებული აბსოლუტური აუცილებლობით, საჭიროა შეფასდეს თავად სპეციალური ოპერაციის (მაჩალიკაშვილის შემთხვევაში, დაკავების ოპერაციის) გეგმა და ოპერაციის მსვლელობაზე განხორციელებული კონტროლი. სახელმწიფო ასევე ვალდებულია აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება, როდესაც ადამიანის გარდაცვალება ძალის გამოყენების თანმდევი შედეგია.[15]

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაკავების ღონისძიების მიმდინარეობისას კომუნიკაციისთვის გამოიყენებოდა ხელის რადიოსადგური (რაცია). აღსანიშნავია, რომ გამოძიების პროცესში არ არის მოპოვებული რაციის ჩანაწერები, რაც

[14] „ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ" (Nachova and Others v. Bulgaria), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, საჩივარი №43577/98 და 43579/98, პარ. 94.; „მაკშეინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ"(McShane v. UK), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი №43290/98, პარ. 93.

[15] „მაკკენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (McCan and Others v. UK), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საჩივარი №18984/91, პარ. 161.

საქმისთვის, ღონისძიების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალის არარსებობის პირობებში, შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყოს.

გამოძიებას ასევე არ მოუპოვებია ოპერაციის განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირების[16] მიერ სპეცოპერაციის პერიოდში ერთმანეთს შორის სატელეფონო კომუნიკაციის, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, სატელეფონო პროგრამებისა და სოციალური ქსელების საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე შეწყვეტილი გამოძიება აუცილებლად უნდა განახლდეს, რადგან კვლავ დაუდგენელია და ღია რჩება მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, დამატებით გამოძიებას საჭიროებენ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია ქალაქ თბილისში, ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიების დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, პარლამენტის დადგენილებით მიცემული დავალებების შესრულების თაობაზე საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული დროისთვის,[17] ქ. თბილისში ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიებისას დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურეობრივი შემოწმება შეჩერებულია.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას საზოგადოებისთვის არ მიუწოდებია აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია და არც მანამდე გაუსაჯაროებია შემოწმების შუალედური შედეგი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) განაგრძოს ზვიად გამსახურდიას შესაძლო მკვლელობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება, ჩაატაროს ინფორმაციის მოსაძიებლად/გადასამოწმებლად საჭირო ყველა საგამოძიებო მოქმედება, გააანალიზოს გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და მათი ადვოკატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და გადაამოწმოს მათი ვერსიები

[16] გამოძიებას მოპოვებული აქვს 21.10.2019 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, იოსებ გოგაშვილის ტელეფონის ნომრის 2017 წლის 25-27 დეკემბრის სატელეფონო ზარების, სმს, ინტერნეტ-ტრაფიკის, კომუნიკაციაში მონაწილე პირებისა და ანძების ამსახველი ინფორმაცია სატელეფონო ნომრის თბილისის ანძებზე დაფიქსირების მონაცემებით (31.10.2019 დათვალიერების ოქმი).

[17] 2020 წლის პირველი მარტი.

ზვიად გამსახურდიას შესაძლო მკვლელობის საქმეზე, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება: მოწმის სახით დაიკითხა 20-მდე პირი, ასევე მოპოვებულ და დათვალიერებული იქნა სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატებს რამდენჯერმე მიეცათ შესაძლებლობა სრულად გაცნობოდნენ სისხლის სამართლის გამოძიების მასალებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ განხორციელებული პოზიტიური საქმიანობის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალება ვერ შეფასდება შესრულებულად, იმდენად, რამდენადაც ამ დროისთვის სრულყოფილად არ არის გაანალიზებული გარდაცვლილის ოჯახის წევრების და ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და ვერსიები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

დ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში წარმოადგინოს მოსაზრება სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ეფექტიანობის შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში არ შეიცავს სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ეფექტიანობის შესახებ მოსაზრებებს. აგრეთვე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის პარლამენტის დადგენილებით მიცემული დავალებების შესრულების თაობაზე წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე დგინდება, რომ უწყება არ იზიარებს საქართველოს პარლამენტის დავალებას და სწორედ აღნიშნულის გამო არ ასრულებს მას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ე) სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შესახებ

ვ) არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შესახებ, შესაბამისი თარიღების მითითებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგებით, სახალხო დამცველს სიცოცხლის უფლების ხელყოფის, ან/და არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე არ აქვს საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს გენერალურ პროკურატურას შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა:

- *სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ფარგლებში, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ, შესაბამისი თარიღების მითითებით;*[18]
- *არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიების ფარგლებში, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ, შესაბამისი თარიღების მითითებით.* [19]

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები არსებითად შეცვლილი სახით აისახა პარლამენტის დადგენილებაში, რის გამოც მიგვაჩნია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის მიერ ფაქტობრივად არ არის გაზიარებული. კერძოდ, გენერალური პროკურატურის მიმართ გაცემული საპარლამენტო დავალებების „ ე" და „ვ" ქვეპუნქტების თანახმად, გენერალურ პროკურატურას დაევალა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია **„საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით"**, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საპარლამენტო დავალებების შესრულება სწორედ, რომ მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით არის შეუძლებელი.

რაც შეეხება სახალხო დამცველის საპარლამენტო რეკომენდაციების ჭრილში საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობას, მისასალმებელია პროკურატურის მიერ სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეებზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა, თუმცა, სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით არასათანადო მოპყრობის საქმეებთან მიმართებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების არსებითი ცვლილების გამო პარლამენტის დადგენილების „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით პროკურატურისადმი გაცემული დავალებები არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ზ) არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიება აწარმოოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, საგამოძიებო მოქმედებები ზედმიწევნით და დროულად ჩაატაროს და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში დაზარალებულთა მონაწილეობა, ამასთანავე, ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია ყოველწლიურად ასახოს

[18] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.38.
[19] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.85.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში

2019 წლის 14 მაისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. ანგარიშში ცალკე ქვეთავი ეთმობა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების და მასში დაზარალებულის მონაწილეობის საკითხებს.[20]

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

თ) ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიაწოდოს ინფორმაცია საგამოძიებო მოქმედებების შესახებ

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა ინფორმაცია ივანე მერაბიშვილის საქმეზე მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში ანგარიშის წარდგენამდე.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ი) ახალი, მნიშვნელოვანი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას პერიოდულად აცნობოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე მიმდინარე გამოძიებაში პროგრესის შესახებ

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე მიმდინარე გამოძიების პროცესში არსებული პროგრესის შესახებ საზოგადოების პერიოდული ინფორმირება არ განხორციელებულა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

კ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში ასახოს ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების შესახებ

ნ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში

[20] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში; გვ. 20.

ასახოს ინფორმაცია რელიგიური შეუწყნარებლობის გამო ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქმიანობის ანგარიშში ცალკე ქვეთავი ეთმობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების გამოძიების შესახებ არსებულ საკითხებს.[21] ანგარიშში აგრეთვე განხილულია რელიგიური შეუწყნარებლობის გამო ჩადენილი დანაშაულებების შესახებ მიმდინარე გამოძიების საკითხები და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული პროკურატურის სხვა საქმიანობა.[22]

<u>სახალხო დამცველის შეფასება: „კ" და „ნ" დავალებები შესრულებულია.</u>

ლ) გააძლიეროს პრევენციული ზომები ქორწინების იძულების, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის ფაქტების შესამცირებლად/თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, უზრუნველყოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და მომხდარ დანაშაულთა დეტალური გაანალიზება

საქართველოს გენერალური პროკურატურაში არსებული პროექტის „საზოგადოებრივი პროკურორის" ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ადგილობრივი უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრები. კომუნიკაცია შედგა აგრეთვე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან. აღნიშნული შეხვედრები მოიცავდა ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულის, არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის, ადრეული ქორწინების, ქორწინების იძულების, ადევნების და სხვა დანაშაულების შესახებ ინფორმაციას, დანაშაულების გამომწვევი მიზეზებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ მსჯელობას. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ყველა რეგიონში 64 ასეთი შეხვედრა ჩატარდა. თუმცა, არსებული ტენდენციების გამოკვეთის და მათზე ეფექტური რეაგირების მიზნით, მომხდარ დანაშაულთა ანალიზი არ განხორციელებულა. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

მ) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მოიძიოს და გაითვალისწინოს ძალადობის წინარე ისტორიის ამსახველი მასალები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოკვლეული სისხლის სამართლის საქმეების მასალების მიხედვით დგინდება რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში

[21] საქართველოს გენერალური პროკურატურის საქმიანობის ანგარიში; გვ. 28
[22] იქვე.

ძალადობის საქმეებზე, გენერალური პროკურატურის მიერ უზრუნველყოფილი იყო ძალადობის წინარე ისტორიის ამსახველი მასალების მოპოვება და მათი გათვალისწინება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

რ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში ასახოს ინფორმაცია წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმების დადების დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქმიანობის ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია, წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმების დადების დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ტ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში ასახოს ინფორმაცია საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა დანაშაულებრივი ქმედების საქმეებზე მიმდინარე გამოძიებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ

ფ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში ასახოს ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნაწილებში პირთა გარდაცვალების ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების შესახებ

საარჩევნო პერიოდში მომხდარი დანაშაულებრივი ქმედებების, აგრეთვე თავდაცვის სამინისტროს ნაწილებში პირთა გარდაცვალების საქმეებზე მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიუთითა საქმიანობის ანგარიშში აესახა ინფორმაცია აღნიშნული გამოძიებების მიმდინარეობის შესახებ და პარლამენტისთვის რეგლამენტით დადგენილი წესით მიეწოდებინა ინფორმაცია.

საქართველოს პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების ტექსტში შეტანილი ცვლილებების შედეგად (დამატებული სიტყვათა შეთანხმება: „ახალი

გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში") საქართველოს პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიზანს წარმოადგენდა არა კონკრეტული ახლად გამოვლენილი გარემოებების ან საგამოძიებო პროგრესის შესახებ საქართველოს პარლამენტის ინფორმირება, არამედ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობის შესახებ პარლამენტისთვის შესაბამისი ფორმით ანგარიშის წარდგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დადგენილებაში პარლამენტმა სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების ტექსტის ცვლილების შედეგად, არსებითად შეცვალა რეკომენდაციების მიზნები და შესაბამისად, სახალხო დამცველის რეკომენდაციებს გაზიარებულად არ მივიჩნევთ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციებიის არსებითი ცვლილების გამო პარლამენტის დადგენილების „ტ" და „ფ" ქვეპუნქტებით პროკურატურისადმი გაცემული დავალებები არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ღ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია 2012–2014 წლებში სოფელ სამთაწყაროში მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების საქმეებზე მიმდინარე გამოძიების, აგრეთვე იეჰოვას მოწმეებისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი სავარაუდო სამართალდარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, 2012-2014 წლებში სოფელ სამთაწყაროში მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ, აგრეთვე იეჰოვას მოწმეებისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებულ საქმეებზე მიმდინარე გამოძიების პროცესში ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის დაზარალებულად იქნა ცნობილი რამდენიმე პირი, თუმცა საქართველოს გენერალურ პროკურატურას აღნიშნულზე ინფორმაცია საზოგადოებისთვის არ მიუწოდებია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ო) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია 2014 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში, აგრეთვე ქობულეთის მუნიციპალიტეტში სამართალდამცველების მიერ მუსლიმთა უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და 2018-2019 წლების განმავლობაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ და მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილებები

პ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია აფგან მუხთარლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებისა და პროგრესის შესახებ

ჟ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია „ჯორჯიან მანგანეზის“ საქმეზე მიმდინარე გამოძიებისა და პროგრესის შესახებ

ს) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა დანაშაულებრივი ქმედების საქმეებზე მიმდინარე გამოძიებისა და პროგრესის შესახებ

უ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია რუისი-რიკოთის საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტების განადგურებისა და საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს დაზიანებისა და განადგურების ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და პროგრესის შესახებ

ქ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაუჩინარებულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეებზე მიმდინარე გამოძიებისა და პროგრესის შესახებ

აღნიშნული საპარლამენტო დავალებების და მათთან დაკავშირებული სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიზანი იყო, პროკურატურას ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მიმდინარე გამოძიებისა და პროგრესის შესახებ. აღნიშნული გულისხმობს მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოკვეთილი ახალი დეტალების შესახებ საზოგადოების პროაქტიულ ინფორმირებას.

აღნიშნული საპარლამენტო დავალებები საქართველოს პროკურატურის მიერ საანგარიშო პერიოდში ვერ შესრულდებოდა, იმდენად რამდენადაც არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ საქმეზე ახლად გამოვლენილი გარემოება არ იქნა გამოვლენილი. შესაბამისად მიმდინარე საქმეებში არ არსებული საგამოძიებო პროგრესის გამო, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ვერ მიეწოდებოდა საზოგადოებას ინფორმაცია შესაბამისი საგამოძიებო საქმიანობის შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: „ო“, „პ“, „ჟ“, „ს“, „უ“ და „ქ“ დავალებები ობიექტური მიზეზით ვერ იქნა შესრულებული.</u>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ 25 დავალება გაიცა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში არსებული სხვა ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია 23 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

საქართველოს პარლამენტის მიერ, დავალების ადრესატი უწყების ცვლილებამ ორ შემთხვევაში შეუძლებელი გახადა უწყების საქმიანობის შეფასება,

25 საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

შესრულდა: 11

არ შესრულდა: 7

ნაწილობრივ შესრულდა: 5

შეფასებას არ ექვემდებარება: 2

საპარლამენტო დავალებები:

ა) შეისწავლოს, დაცულია თუ არა დაკავებული პირის უფლება, დაუკავშირდეს ოჯახის წევრს/ახლობელს/ადვოკატს და მას დაკავების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს; შეიმუშაოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ამ უფლების რეალიზების შემოწმება; აღნიშნული შესწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა, საანგარიშო პერიოდში 800-მდე დაკავების ოქმის შესწავლა დაასრულა.

აღნიშნული პროცესის ანალიზის შედეგად, მომზადდა დაკავების შეტყობინების ოქმის ინდივიდუალური ფორმა, რომლის შევსებაც სავალდებულოა. სახალხო დამცველის აპარატის მცდელობის მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახალხო

დამცველის აპარატს არ გაუზიარა კვლევის შედეგები და არც მის საფუძველზე შემუშავებული დოკუმენტების პროექტები.

იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო დავალების ის ინდიკატორი, რომელიც სახალხო დამცველისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას ითვალისწინებდა არ არის გაზიარებული, უწყების საქმიანობა დავალების შესრულების თვითკმარ, სრულყოფილ საშუალებად ვერ შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ბ) განაგრძოს პოლიციელთა გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე სამხრე კამერებით აღჭურვა და, საპატრულო პოლიციის მსგავსად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები ეტაპობრივად აღჭურვოს გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობების სამხრე კამერებით;

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული არაერთი მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები, საანგარიშო პერიოდში, უწყების მიერ არ ყოფილან აღჭურვილნი გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობების მქონე სამხრე კამერებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) გაზარდოს იმ დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს, და ამ იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში, დროებითი მოთავსების 4 იზოლატორში გაიხსნა სამედიცინო პუნქტი. სამინისტროს აღნიშნული საქმიანობა საპარლამენტო დავალების შესრულებად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

დ) შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტი/ინსტრუქცია პოლიციელის მიერ დაკავებული პირისთვის მისი უფლებების განმარტების შესახებ;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მომზადდა რეკომენდაცია „დაკავების ოქმის შედგენის მეთოდოლოგიის შესახებ", რომელიც განკუთვნილია დაკავების უფლებამოსილების მქონე სამართალდამცავებისთვის, სადაც ხაზგასმა კეთდება დაკავების დროს დაკავებული პირისთვის უფლებების განმარტების მნიშვნელობაზე. მიღებული პასუხის შესაბამისად, ირკვევა, რომ 2020 წლის 18 მარტის მონაცემებით რეკომენდაცია გადის საბოლოო რედაქტირებას და უახლოეს მომავალში

გადაიგზავნება სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებში. შესაბამისად სახალხო დამცველის მიერ აღნიშნული დავალება ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ე) უზრუნველყოს პოლიციის შენობების კედლებზე თვალსაჩინო ადგილას იმ პოსტერების გაკვრა, რომლებიც შეიცავს დაკავებული პირის უფლებების შესახებ ინფორმაციას და საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის საკონტაქტო მონაცემებს;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა უზრუნველყოფილი პოლიციის შენობების კედლებზე თვალსაჩინო ადგილას იმ პოსტერების გაკვრა, რომელიც შეიცავს დაკავებული პირის უფლებების შესახებ ინფორმაციას და საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის საკონტაქტო მონაცემებს.

აღნიშნულის მიუხედავად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი პოზიტიურად აფასებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოტივაციას, უზრუნველყოს აღნიშნული საპარლამენტო დავალების შესრულება, რაც სახალხო დამცველის აპარატთან ბოლო დროინდელი კომუნიკაციის შედეგად დასტურდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ვ) დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმებისთვის შეიმუშაოს დეტალური სახელმძღვანელო ინსტრუქცია ამ იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების სრულყოფილად დოკუმენტირების შესახებ;

ზ) დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმებისთვის შეიმუშაოს ფოტოგადაღების ტექნიკური ინსტრუქცია, რომლითაც დეტალურად განისაზღვრება ის პროცედურები, რომლებიც ხარისხიანი ფოტოების გადაღებას უზრუნველყოფს;

თ) შეიმუშაოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმების მიერ გადაღებული ფოტომასალის ერთიანი, სისტემატიზებული შენახვის წესი;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სამედიცინო შემოწმების ჩატარების დეტალური ინსტრუქციის პროექტი, რომელიც 2020 წლის 27 თებერვალს დამტკიცდა.

აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს იზოლატორებში დასაქმებული ექიმებისთვის ფოტოგადაღების ტექნიკური ინსტრუქციის და მასალის ერთიანი, სისტემატიზებული შენახვის წესის შესახებ ინფორმაციას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

ი) დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტაროს ტრენინგები ამ იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების ინსტრუქციისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ;

2019 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი ტრენინგი, რომელიც მოიცავდა დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების საკითხებს. ტრენინგში მონაწილეობას იღებდა 30 ექიმი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმები კვლავ საჭიროებენ აღნიშნული ტიპის გადამზადებას შესაძლო შეცდომების პრევენციის მიზნით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

კ) „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, პოლიციის მიერ პრევენციული ფუნქციების შესრულების ფარგლებში მოსახლეობაში ჩაატაროს პრევენციული საინფორმაციო კამპანია პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით მიღების შემთხვევაში მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული იყო რამდენიმე პრევენციული საინფორმაციო კამპანია, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით მიღების შემთხვევაში, პირის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ლ) უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომელთა გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებში;

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილ იქნეს თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით, ამასთან, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას"*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, ტერიტორიულ ორგანოებში თანამშრომელთა გადამზადებასთან ერთად შეემუშავებინა ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც უზრუნველყოფდა გადამზადებული თანამშრომლის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასებას.

საპარლამენტო დადგენილების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ თანამშრომელთა გადამზადება დაევალა. შესაბამისად საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ არის გაზიარებული.

სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: საპარლამენტო დადგენილებით, მხოლოდ ნაწილობრივ არის გაზიარებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

ბ) საანგარიშო პერიოდში, ოჯახში ძალადობის სამართლებრივ მექანიზმებზე ტრენინგ კურსი გაიარა 125-მა მართლწესრიგის ოფიცერმა.

საპარლამენტო დავალებაში ასახული თემების შესახებ, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონულ ოფისებში გადამზადების ხუთ დღიანი კურსი ჩაუტარდა 600-ზე მეტ პოლიციელს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

მ) დაადგინოს ძალადობის მსხვერპლთა, მათ შორის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, და დაზარალებულთა გამოკითხვის სახელმძღვანელო წესები ძალადობის მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა გამოკითხვის სახელმძღვანელო წესები, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლთა მეორეულ ვიქტიმიზაციას, შემუშავებული არ არის.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ნ) უზრუნველყოს შეკრების მიმდინარეობისას დროებითი კონსტრუქციების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავსების შესაძლებლობა

2019 წელს შეკრების უფლებით სარგებლობის პროცესში, უფლების სუბიექტები ხშირად იყენებდნენ დროებით კონსტრუქციებს. პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეკრების მონაწილეებისთვის აღნიშნული უფლებით სარგებლობის პროცესში ხელი არ შეუშლიათ.

საყურადღებოა 2019 წლის 31 დეკემბერს თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის მიერ პარლამენტის შენობის წინ, შობა-ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით საზეიმო განწყობის შექმნის არგუმენტაციის საფუძველზე ფართო ტროტუარზე თვეების განმავლობაში განთავსებული კარვებისა და სხვა საპროტესტო ატრიბუტიკის აღებისა და ადგილზე საბავშვო ატრაქციონების განთავსების შემთხვევა. სახალხო დამცველის შეფასებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული დასაბუთება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იმგვარი მომეტებული ინტერესის დადასტურებად, რომელიც პარლამენტის შენობის წინ შეკრების თავისუფლების რეალიზების შემხვედრ ინტერესს გადაწონიდა,

აღნიშნული ნეგატიური ფაქტის არსებობის მიუხედავად, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უკავშირდება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საანგარიშო წლის განმავლობაში ძირითადად უზრუნველყოფილი იყო შეკრების მიმდინარეობისას დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ო) სპონტანური ან წინასწარ დაგეგმილი აქციის/კონტრაქციის ჩატარების შემთხვევაში დროულად და სათანადოდ შეაფასოს შესაძლო რისკები და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, ერთი მხრივ, მშვიდობიანი აქციის ჩატარების ხელშესაწყობად და, მეორე მხრივ, ძალადობრივი და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად

2019 წლის 8 ნოემბერს ქ. თბილისში გაიმართა ფილმის ჩვენება - „და ჩვენ ვიცეკვეთ". სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანი იყო, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერების განცხადებებს სათანადო და სწრაფი სამართლებრივი რეაგირება მოჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი ჯგუფის ორგანიზატორებმა ჩვენების ჩაშლა ფილმის პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე დააანონსეს, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მხრიდან აუცილებელი პრევენციული ღონისძიებები არ გატარებულა. ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა კინოჩვენების ჩაშლის მიზნით აქცია გამართეს, რომლის დროსაც ფიზიკური დაზიანება მიიღეს ფილმის სანახავად მისულმა აქტივისტებმა. პოლიციამ ვერც კინოთეატრთან აგრესიულად განწყობილ დემონსტრანტთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენცია უზრუნველყო და არც მათ აგრესიულ ქმედებებზე ჰქონია სათანადო რეაგირება.

მთელი წლის განმავლობაში, ძალადობრივი ჯგუფების მიერ, LGBTQ თემის მიმართ, ვრცელდებოდა მუქარის შემცველი განცხადებები. აღნიშნულის კულმინაცია იყო, ლევან ვასაძის მიერ ე.წ „სახალხო რაზმის" ჩამოყალიბების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ყველა საშუალებით, მათ შორის ძალადობის გამოყენებით არ მიეცათ შესაბამისი აქციის მონაწილეებისთვის „ღირსების მარშის" ჩატარების შესაძლებლობა. 2019 წლის 18-23 ივნისს „თბილისი პრაიდის" კვირეულის დაგეგმვის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი უთხრა აქციის ორგანიზატორებს უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფაზე. გაუკეთებია, მეტიც ისინი აქციის მონაწილეებს „ღირსების მარშის" იმ ფორმატში ჩატარებას სთავაზობდნენ, რაც აქციას შინაარსს გამოაცლიდა. 14 ივნისს, „თბილისი პრაიდის" ორგანიზატორებს მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ აქციის ჩატარების საშუალება არ მიეცათ, ვინაიდან ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა აღნიშნული ტერიტორია დაიკავეს.

სწორედ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საპარლამენტო დავალება შეუსრულებლად შეფასდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

პ) უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, შემთხვევების შესახებ უნიფიცირებული, დეტალური სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი მონაცემების ყოველწლიურად გამოქვეყნება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე, არ არის უზრუნველყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ჟ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთათვის შეიმუშაოს სასწავლო მოდული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და ზრდასრულთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის სპეციფიკურ საკითხზე, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის ეთიკურ სტანდარტსა და თავისებურებებზე, უზრუნველყოს აღნიშნული მოდულის სასწავლო პროგრამებში ინტეგრირება;

სსიპ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ისწავლება საგანი - „კომუნიკაციების თავისებურებები შშმ პირებთან". აღნიშნული სასწავლო პროგრამით დაფარული საკითხები, მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს საპარლამენტო დავალებაში შესული საკითხების შესახებ სწავლების სრულყოფილ განხორციელებას.

სასწავლო პროგრამა არ მოიცავს, შშმ ბავშვთა და ზრდასრულთა მიმართ ძალადობის გამოვლენის სპეციფიური საკითხების შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალება, მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

რ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით გააძლიეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე დროული რეაგირება და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის მონიტორინგი;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულებაში არ განხორციელებულა ისეთი ცვლილებები, რომელიც გააძლიერებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე დროულად რეაგირებას და უზრუნველყოფდა მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის მონიტორინგს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს განყოფილებებში უზრუნველყოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

2018 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და ეროვნული საგანძურის იმ სამმართველოში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობა, რომელიც უზრუნველყოფდა შვეიცარიის საელჩოს დაცვას.

საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ადგილმდებარეობის ცვლილების გამო აღნიშნული საკითხი აღარ წარმოადგენს გამოწვევას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის მოგვარება შვეიცარიის საელჩომ უზრუნველყო და არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა არ განუხორციელებია, მისი მიზნის მიღწევის გამო საპარლამენტო დავალება შესრულებულად უნდა შეფასდეს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ტ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს მე-6 და მე-7 ქვეგანყოფილებების სამხედრო მოსამსახურეები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კვებითა და ტრანსპორტირებით;

უ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს მე-6 და მე-7 ქვეგანყოფილებებში პირადი შემადგენლობა თანაბრად გაანაწილოს, რათა სამხედრო მოსამსახურეებმა თანაბრად შეძლონ დასვენების დროით სარგებლობა;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და ეროვნული საგანძურის სამმართველოს მე-6 და მე-7 ქვეგანყოფილებების პირადი შემადგენლობა, უზრუნველყოფილია კვების და ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებით, აგრეთვე ისინი თანაბრად არიან უზრუნველყოფილნი დასვენების დროის თანაბრად გამოყენების შესაძლებლობით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: „ტ“ და „უ“ პუნქტებით გათვალისწინებული საპარლამენტო დავალება შესრულებულია</u>

ფ) ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია 2012–2014 წლებში სოფელ სამთაწყაროში მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების საქმეებზე მიმდინარე გამოძიების, აგრეთვე იეჰოვას მოწმეებისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი სავარაუდო სამართალდარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოუდგენია დეტალური ინფორმაცია 2012-2014 წლებში სოფელ სამთაწყაროში მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ, აგრეთვე იეჰოვას მოწმეებისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი სავარაუდო სამართალდარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით, განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ქ) განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენების აღმოსაფხვრელად; ამ მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დაავალოს, სისტემატურად გააკონტროლოს არსებული მდგომარეობა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყების მიერ განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები რაც უზრუნველყოფდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურისთვის პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენების პრევენციას.

<u>სახალხო დამცველის შეფასდება: დავალება შესრულებულია.</u>

ღ) გადახედოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფის საქმიანობას ხარვეზების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად;

განსახილველი საპარლამენტო დავალებით, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობას აძლევდა რეკომენდაციას, გამოევლინა და აღმოეფხვრა ხარვეზები, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფის საქმიანობაში. საპარლამენტო დადგენილებით, აღნიშნული საქმიანობის განხორციელება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა.

,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის 161-ე მუხლის

შესაბამისად, მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ, მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის წესი დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. აღნიშნული აქტის შესაბამისად მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი იქმნება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ.

საქართველოს პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის ანგარიშში ასახული რეკომენდაციისთვის ადრესატი უწყების ცვლილებამ შეუძლებელი გახადა საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალების შესრულების საკითხის განსაზღვრა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ყ) „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, გააძლიეროს სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ სასჯელის გამკაცრების შესახებ, აგრეთვე ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში გამოიყო სპეციალიზებულ გამომძიებელთა ჯგუფი, რომელიც არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის დანაშაულებებს იძიებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების განმეორებითი ვიქტიმიზაციის პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილი მოწმისა და დაზარალებული კოორდინატორის ინსტიტუტი.

სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ოჯახში სექსუალური ძალადობის განხორციელების კვლავ არსებულ რისკებს. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვები არ არიან სრულყოფილად დაცულები როგორც შრომითი, ისე სექსუალური ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგისგან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვის დაცვის საკითხებში გაგრძელდეს და გაძლიერდეს სახელმწიფო უწყებების, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული:</u>

შ) დანერგოს რეფერირების მექანიზმის შეფასების ინსტრუმენტი, რაც ოჯახში ძალადობის კუთხით პასუხისმგებელ უწყებებს შორის თანამშრომლობის ხარვეზებსა და საჭიროებებს გამოკვეთს.

საქართველოს მთავრობის მიერ რეფერირების მექანიზმის დანერგვის შედეგად, აღნიშნულ პროცესში განისაზღვრა თითოეული სახელმწიფო უწყების პასუხისმგებლობა, გეგმის შესრულების ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

შესაბამისად რეფერირების მექანიზმის შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა, შინაგან საქმეთა სამინსიტროს ნაცვლად, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებას წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის ანგარიშში ასახული რეკომენდაციისთვის ადრესატი უწყების ცვლილებამ შეუძლებელი გახადა საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალების შესრულების საკითხის განსაზღვრა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 1 დავალება გაიცა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგად, აგრეთვე თავდაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა რომ საპარლამენტო **<u>დავალება არ არის შესრულებული.</u>**

<u>საპარლამენტო დავალება:</u>

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის ძალების საცხოვრებელი ყაზარმებისა და სამედიცინო პუნქტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ გაუმჯობესებულა თავდაცვის ძალების საცხოვრებელი ყაზარმებისა და სამედიცინო პუნქტების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა. ამასთანავე სახალხო დამცველის აპარატი პოზიტიურად აფასებს 2020 წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომლის თანახმად 200 000 000 (ორასი მილიონი) ლარის ღირებულების სამუშაოები უნდა შესრულდეს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ 80 დავალება გაიცა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში არსებული სხვა ინფორმაციებზე დაყრდნობით შესაძლებელია 77 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

საქართველოს პარლამენტის მიერ, დავალების ადრესატი უწყების ცვლილებამ ორ შემთხვევაში შეუძლებელი გახადა სამინისტროს საქმიანობის შეფასება, ხოლო ერთ შემთხვევაში, უწყებისგან ვერ მივიღეთ სათანადო ინფორმაცია, რის გამოც საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობას ვერ შევაფასებთ.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, საპარლამენტო დავალებების შესრულების თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

შესრულდა: 7

არ შესრულდა: 54

ნაწილობრივ შესრულდა: 13

პარლამენტის მიერ სახალხო დაცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო შეფასებას არ ექვემდებარება: 5

რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამოვერ შეფასდა: 1

ა) უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტის საჭიროებების შეფასება მისი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების მიზნით; შეიმუშაოს თავშესაფრის შექმნის გეგმა მომავალ ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ არ იყო უზრუნველყოფილი 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება მათი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების მიზნით. ასევე არ შემუშავებულა თავშესაფრის შექმნის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ბენეფიციართა რაოდენობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) სახელმწიფო ზედამხედველობისა და ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტთა უფლებების დაცვის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად უზრუნველყოს ამ სისტემის დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შეფასება;

2019 წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი იყო დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ სახელმწიფო ზედამხედველობის და პაციენტთა უფლებების დაცვის მონიტორინგის არსებული სისტემის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

გ) უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის რეგულარულად, სისტემურად და პროაქტიულად განხორციელება, გააკონტროლოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებებით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის შედეგად დგინდება, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2019 წელს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არც ერთი შემოწმება არ განახორციელა. სსიპ. „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ" 2019 წელს 10 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ჩაატარა შემოწმება/რევიზია.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით გაცემული დავალების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული იყო რეგულარულად და პროაქტიულად განეხორციელებინა ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგი. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით სამინისტროს არ განუხორციელებია დავალებაში მითითებული ინტენსივობით ფსიქიატრიული დაწესებულებების შემოწმება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

დ) ნორმატიული აქტით განსაზღვროს ყველა ფსიქიატრიული დაწესებულებისთვის სავალდებულო საჩივრების განხილვისა და უკუკავშირის ერთიანი სისტემა და პროცედურა;

ე) დანერგოს ფსიქიატრიულ დახმარებასთან დაკავშირებული საკითხებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გასაჩივრების მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურა;

საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალებების მიზანი იყო, (ა)ერთი მხრივ, ნორმატიული აქტით განსაზღვრულიყო ყველა ფსიქიატრიული დაწესებულებისთვის სავალდებულო საჩივრების განხილვის და უკუკავშირის ერთიანი სისტემა და პროცედურა, (ბ)ხოლო, მეორე მხრივ, დანერგილიყო ფსიქიატრიულ დახმარებასთან დაკავშირებული საკითხებისა და უფლებათა დარღვევის შესახებ არსებული ფაქტების გასაჩივრების მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნორმატიული აქტით არ განუსაზღვრავს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის საჩივრების განხილვისა და უკუკავშირის ერთიანი სისტემა და პროცედურა, აგრეთვე სამინისტროსთან კომუნიკაციით დგინდება, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს და არსებითი ცვლილება არ განხორციელებულა ჯანმრთელობის საკანონმდებლო აქტების გადახედვის, განახლების და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: „დ" და „ე" პუნქტებით განსაზღვრული დავალებები არ არის შესრულებული.</u>

3) ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტთა შორის ძალადობის პრევენციისა და მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნას ნორმატიული ბაზა, რომელიც მოაწესრიგებს პერსონალის მიერ კონკრეტული პაციენტებისგან მომდინარე საფრთხის (რისკების) წინასწარი შეფასების სათანადო სისტემის დანერგვის, მულტიდისციპლინური მუშაობის, პაციენტების ძალადობისგან დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების, პერსონალის მიერ პაციენტებზე სათანადო მეთვალყურეობის/დაკვირვების განხორციელების, პერსონალის სათანადო სწავლების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურებისა და დეესკალაციის სტრატეგიის შემუშავების, საფრთხის წარმოქმნისთანავე დროული და ადეკვატური ინტერვენციის განხორციელების, ძალადობის შემთხვევების/ინციდენტების და მათ საპასუხოდ მიღებული ზომების დოკუმენტირების, პერსონალის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს;

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, პატიმართა შორის ძალადობის პრევენციისა და მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საპარლამენტო დადგენილებაში ასახული საკითხების უზრუნველსაყოფად არ შექმნილა ახალი ნორმატიული ბაზა. სამინისტროსთან

კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ამ კუთხით იგეგმება ცვლილებების განხორციელება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ზ) უზრუნველყოს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისთვის ფიზიკური შეზღუდვის მარეგულირებელი გარემოს დახვეწა/გაუმჯობესება ევროკავშირის ანალოგიურ მარეგულირებელ გარემოსთან შესაბამისობის მიზნით;

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებისთვის ფიზიკური შეზღუდვის მარეგულირებელი გარემოს დახვეწა/გაუმჯობესების მიზნით, აქტებში არ განხორციელებულა ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფდა ევროკავშირის ანალოგიურ მარეგულირებელ გარემოსთან შესაბამისობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

თ) უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის შედეგად ქალის დაორსულების შემთხვევაში მის დასაფინანსებლად და ორსულობის შესაწყვეტად საკმარისი იყოს სექსუალური ძალადობის საქმეზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი გამოძიება;

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის ხელმისაწვდომობის საკითხი დარეგულირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის N74/ნ ბრძანებით. ნორმატიული აქტის N5 დანართის შესაბამისად, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ჩვენებებს, რომელიც კავშირში არ არის სამედიცინო მდგომარეობასთან, წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

- ორსულობა, სასამართლოს მიერ დადგენილი გაუპატიურების შედეგად;
- თუ ქალის ასაკი არ აღწევს 15 წელს;
- თუ ქალის ასაკი გადაცილებულია 49 წელს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის N74/ნ ბრძანებაში, 2019 წელს არ განხორციელებულა ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფდა საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალების შესრულებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ი) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ოჯახის დეკლარაცია ხელმისაწვდომი გახადოს ბრაილის შრიფტით ან სხვა, ალტერნატიული საშუალებით;

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის პროცესში, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია კვლავ არ არის ხელმისაწვდომი ბრაილის შრიფტით ან სხვა, ალტერნატიული საშუალებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

კ) შეცვალოს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობისა და თანამდევი გასაცემლის მიღების წესი ამ წესით ორივე მშობლის მიერ თანაბრად სარგებლობის უზრუნველსაყოფად;

2019 წლის განმავლობაში, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის, ასევე თანამდევი გასაცემლის მიღების წესი არ შეცვლილა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ორივე მშობლის მიერ შვებულებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ლ) დანერგოს მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების დახმარების ღონისძიებები, მათ შორის, გაითვალისწინოს ისინი სოციალური შეღავათების სისტემაში; შექმნას და გააანალიზოს მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაცია;

წინამდებარე დავალების მიზანი იყო სამინისტროს უზრუნველეყო მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლისთვის შესაბამისი დახმარების პროგრამების დანერგვა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების[23] შესაბამისად, 2019 წლიდან მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს 4 არასრულწლოვანი შვილი ან/და ნაშვილები ელექტროენერგიის მოხმარებისას ისარგებლებს შესაბამისი სუბსიდიით.

იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წელს მხოლოდ მრავალშვილიანი მშობლების დახმარების მიზნით, მინიმალური ღონისძიებები იქნა გატარებული, წარმოდგენილი აქტივობა ვერ შეფასდება საპარლამენტო დავალების შესრულების თვითკმარ, სრულყოფილ საშუალებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

[23] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის N517 დადგენილება ,,მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“

მ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის შექმნას სოციალური დახმარების პროგრამა თავშესაფრის დატოვების შემდეგ მათთვის სოციალური შემწეობის გაუქმების შემდგომი პერიოდისთვის;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ შექმნილა სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც თავშესაფრის დატოვების შემდეგ ბენეფიციარებს უზრუნველყოფდა სოციალური მომსახურების პაკეტით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ნ) შეიმუშაოს ანტენატალური ზრუნვისადმი სისტემური მიდგომა და უზრუნველყოს მშობიარობის შემდგომი ფსიქოლოგიური დახმარების სერვისის მის საბაზისო ნაწილში ინტეგრირება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა ანტენატალური ზრუნვისადმი სისტემური მიდგომა, აგრეთვე არ ყოფილა უზრუნველყოფილი მშობიარობის შემდგომი ფსიქოლოგიური დახმარების სერვისის საბაზისო ნაწილში ინტეგრირება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ო) უზრუნველყოს „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასაბუთების სტანდარტებთან შესაბამისობა;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, საპარლამენტო დავალებაში განხილული გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში, შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ არის დასაბუთებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა ისეთი ტიპის ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფდა „რეფერალური მომსახურები" ფარგლებში, შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაბუთების სტანდარტებთან შესაბამისობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

პ) შეიმუშაოს მოწვეული სამედიცინო ექსპერტების საქმიანობის, მათ მიერ საექსპერტო დასკვნის მომზადების/განხილვის და მათი პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N01-77 ბრძანების N2 დანართით განისაზღვრა ექსპერტის დასკვნის მომზადების და გაგზავნის წესი. ბრძანება აგრეთვე ითვალისწინებს ექსპერტული დასკვნების ფორმებს მკურნალობის, კვლევების და მედიკამენტების საჭიროების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ მინისტრის ბრძანება არ უზრუნველყოფს ექსპერტის პასუხისმგებლობის მარეგულირებელ საკითხებს, რაც გათვალისწინებული იყო დადგენილებაში ასახული საპარლამენტო დავალებით, სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობა ვერ შეფასდება დავალების სრულყოფილ შესრულებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ჟ) შეიმუშაოს გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ფარგლებში ექთნების მომზადებისა და პროფესიული რეგულირების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ საექთნო განათლების სტიმულირებას;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2019 წლის 16 ივლისის N334 დადგენილებით გამოსცა „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია“.

სტრატეგია საექთნო/საბებიო ადამიანური რესურსის განვითარების ხედვასთან ერთად ითვალისწინებს უწყვეტი სამედიცინო განათლების ფარგლებში ექთნების მომზადებას და პროფესიული რეგულირების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

რ) სწრაფად და ეფექტიანად განახორციელოს ღონისძიებები სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“ არსებული ინფრასტრუქტურისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დადგენილ სტანდარტებთან მისასადაგებლად;

სს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში" არსებული ინფრასტრუქტურა და სანიტარულ ჰიგიენური ნორმები არ შეესაბამება დადგენილ საკანონმდებლო სტანდარტს.

2019 წელს „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში" შეძენილი კომპიუტერული მრავალშრიანი ტომოგრაფიული სისტემა, ვერ უზრუნველყოფს საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალების შესრულებას. სამინისტროს მხრიდან საანგარიშო პერიოდში სხვა რელევანტური აქტივობა არ განხორციელებულა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ს) უზრუნველყოს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების გამოვლენა, მათთვის ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ყველა შესაძლო რესურსის გამოყენებით თავიდან აიცილოს ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვაში განთავსება მათი სიღარიბის საფუძვლით;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ „ოჯახების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია" უკანასკნელად 2015 წელს გადაიხედა. უწყების წერილში ყურადღებაა გამახვილებული „ოჯახში მცხოვრები (0-18 წლამდე ასაკის) ბავშვ(ებ)ის დეკლარაციაზე", რომლის შევსების მიზანია ბავშვ(ებ)ის საჭიროებების შესახებ ინფორმაციის სოციალური მუშაკისთვის მიწოდება.

საპარლამენტო დადგენილებით გაცემული დავალების მიზანი იყო 2019 წელს ყოფილიყო უზრუნველყოფილი სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების გამოვლენა და მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად, ვერ დადგინდა ვერც ერთი აქტივობა, რომელიც უწყებამ დავალების შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განახორციელა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ტ) უზრუნველყოს, რომ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, არსებული პრობლემიდან გამომდინარე, გაწეულ იქნეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში; შეაფასოს მობილური ჯგუფების საქმიანობის ხარისხი და შეიმუშაოს შეფასების ეფექტიანი ფორმა, რომლითაც განისაზღვრება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე თითოეული იდენტიფიცირებული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და რისკები;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ არის უზრუნველყოფილი სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის მომსახურება. აგრეთვე არ არის შემუშავებული ფორმა, რომელიც განსაზღვრავს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვ(ებ)ის ინდივიდუალურ საჭიროებებს და რისკებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

უ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ცენტრები გააძლიეროს ადამიანური რესურსით (მათ შორის, გაზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა), აგრეთვე ტექნიკური და ფინანსური რესურსებით;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის შესაბამისად სამინისტროს მიერ საშტატო ერთეულის გაზრდის მიუხედავად, სოციალური მომსახურების სააგენტოების ტერიტორიულ ცენტრებში არ გაზრდილა სოციალური მუშაკებისა რაოდენობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში, 39 რაიონულ განყოფილებაში დამონტაჟდა საგანგაშო დაცვის ღილაკები, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით(თბილისის ჩათვლით) გამოიყო 17 ავტოსატრანსპორტო საშუალება.

სამინისტროს მიერ, აღნიშნული რესურსის სოციალური მომსახურების სააგენტოებისთვის გამოყოფა ვერ უზრუნველყოფს საპარლამენტო დავალების მინიმალური სტანდარტით შესრულებასაც.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ფ) გააუმჯობესოს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვთა დაცვის ზედამხედველობის მექანიზმი მათი უფლებრივი მდგომარეობის შემოწმებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალების მიზანი იყო არსებული ზედამხედველობის მექანიზმის გაუმჯობესება, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების და საჭიროებების გამოვლენის მიზნით. სამინისტროსთან კომუნიკაციის

შედეგად არ გამოიკვეთა აქტივობა, რომელიც უწყების საქმიანობის გაუმჯობესების დინამიკას წარმოაჩენდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ქ) სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებთან მომუშავე პირები სისტემატურად გადაამზადოს ბავშვთა უფლებებისა და საჭიროებების, აგრეთვე რთული ქცევის მართვის საკითხებში;

2019 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ბავშვთა უფლებებისა და საჭიროებების, აგრეთვე რთული ქცევის მართვის საკითხების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება ჩაუტარდა 59 სოციალურ მუშაკს. აღნიშნული საგანმანათლებლო სერვისით, წელიწადში ორჯერ, უზრუნველყოფილია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში დასაქმებული აღმზრდელებიც.

იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალების მიზანია, სოციალურ მუშაკებთან და საოჯახო ტიპის აღმზრდელებთან ერთად, უზრუნველყოფილი იყოს მიმღები მშობლების და ფსიქოლოგების გადამზადება, სამინისტროს საქმიანობა ვერ შეფასდება დავალების შესრულების სრულყოფილ, თვითკმარ საშუალებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ღ) უზრუნველყოს, რომ სოციალური მუშაკი მუდმივად უწევდეს ზედამხედველობას სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვანთა განათლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების კუთხით არსებულ გამოწვევებს და პროაქტიულად მოიძიებდეს თემში არსებულ ყველა სერვისს ბავშვთა ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით;

სახალხო დამცველის საქმიანობის ფარგლებში, დადგინდა რომ სოციალური მუშაკები ხშირად არ უწევენ ზედამხედველობას სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვანთა განათლებას, მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში, აღნიშნული მიმართულებით შეინიშნება პოზიტიური ტენდენცია, რაც დავალების ნაწილობრივ შესრულებულად შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ყ) უზრუნველყოს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი, ტრავმული გამოცდილების მქონე, რთული ქცევის ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებებისთვის მორგებული

ფსიქოსოციალური და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის ინიცირება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყებას ტრამვული გამოცდილების მქონე, რთული ქცევის ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებებისთვის მორგებული ფსიქოლოგიური და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავების ინიცირება არ მოუხდენია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

შ) აქტიურად გაუწიოს ზედამხედველობა რელიგიურ პანსიონებში მყოფ ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ლიცენზირებულ დაწესებულებებში ჩარიცხული ბენეფიციარების უფლებრივი მდგომარეობის შეფასების მიზნით, თვეში ერთხელ ხორციელდება მონიტორინგი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკების მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებობს ინფორმაცია არალიცენზირებულ რელიგიურ პანსიონებში ბენეფიციართა განთავსების შესახებ და ამავდროულად საპარლამენტო დავალების მიზანს წარმოადგენს ყველა რელიგიურ პანსიონში მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი, უწყების მიერ განხორციელებული საქმიანობა ვერ შეფასდება დავალების შესრულების თვითკმარ, სრულყოფილ საშუალებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ჩ) აქტიურად გააგრძელოს მუშაობა რელიგიური პანსიონების ლიცენზირების საკითხზე; შესაბამისი დაწესებულებების ადმინისტრაციებს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია ლიცენზირების სავალდებულო ხასიათისა და ლიცენზირების მოთხოვნების დაკმაყოფილების კრიტერიუმების შესახებ;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ 2019 წელს არც ერთი რელიგიური პანსიონის ლიცენზირება არ მომხდარა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებობს ინფორმაცია არალიცენზირებულ რელიგიურ პანსიონებში ბენეფიციართა განთავსების,

შესაბამისად ასეთი პანსიონების არსებობის შესახებ, უწყების მიერ საპარლამენტო დავალება შეუსრულებლად უნდა შეფასდეს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ც) დანერგოს ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე რეაგირების, შეფასების პროცესის, ინსტრუმენტისა და კრიტერიუმების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი ხარვეზებისა და არასათანადო რეაგირების გამოსავლენად/თავიდან ასაცილებლად;

საანგარიშო პერიოდში არ დანერგილა ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე რეაგირების, შეფასების პროცესის, ინსტრუმენტისა და კრიტერიუმების მონიტორინგის მექანიზმი, შესაძლო ხარვეზებისა და არასათანადო რეაგირების გამოვლენის/პრევენციის მიზნით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ძ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლ თითოეულ ბავშვთან მუშაობისას საწყის ეტაპზე ჩართოს ფსიქოლოგი და დაგეგმოს მისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროცესი;

საპარლამენტო დავალების მიზანია უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვ(ებ)თან მუშაობის საწყის ეტაპზევე, ჩართული იყოს ფსიქოლოგი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვ(ებ)თან მუშაობის პროცესში, მხოლოდ სპეციალური საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში არის უზრუნველყოფილი ფსიქოლოგის ჩართულობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

წ) უზრუნველყოს სამუშაოს მაძიებელი და დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაცემთა ბაზის სრულყოფა; სისტემურად გააანალიზოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჯარო და კერძო სექტორებში დასაქმების, აგრეთვე დასაქმების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის კომპონენტების სტატისტიკური მაჩვენებლები;

საპარლამენტო დავალებაში ასახული თითოეული კომპონენტის შესრულების წინაპირობას წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ

დასაქმების დეპარტამენტი ვერ აწარმოებს სტატისტიკას ქვეყნის მასშტაბით შშმ პირთა დასაქმების საერთო მაჩვენებლის შესახებ (კერძო, არაფორმალურ და საჯარო სექტორებში).

ამდენად, სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა, ვერ უზრუნველყოფს საპარლამენტო დადგენილებაში ასახული დავალების შესრულებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება; დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჭ) დაასრულოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის ერთიანი კონცეფციისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში 2016 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი,[24] რომლის მუშაობა დღეის მდგომარეობის შეჩერებულია. უწყება აღნიშნულს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე სამუშაო პროცესს უკავშირებს, რომელიც მიმდინარეობს „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე.

შესაბამისად უწყების მიერ, არ არის დასრულებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის ერთიან კონცეფციაზე მუშაობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ხ) უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კერძო სექტორში დასაქმების წახალისებისა და დამსაქმებელთა და საზოგადოების სხვა წევრების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;

ჯ) უზრუნველყოს სახელმწიფო პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერითი დასაქმების კომპონენტების გაძლიერება და ხარისხის ამაღლება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა 7 დასაქმების ფორუმი და 2 ტრენინგ/სემინარი. ფორუმებში საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 1297-მა სამუშაოს მაძიებელმა და 216-დამსაქმებელმა.

[24] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 აპრილის ბრძანება N01-101/ო;

დამსაქმებლებთან კონსულტაციების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა 126 ვაკანსია მოიძიეს, შესაბამისი მომსახურება გაეწია 160 შშმ პირს.

2019 წელს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტში შედგა 2 სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებთან პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და განვითარება, შშმ პირთა დასაქმების ეფექტური უზრუნველყოფის მიზნით.

სამინისტროს ზემოაღნიშნული აქტივობები სახალხო დამცველის აპარატის მიერ პოზიტიურად ფასდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მონაცემები არსებითად არ განსხვავდება 2018 წლის შედეგებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იქნება სამინისტროს საქმიანობის ამ მიმართულების გაძლიერება, შესაბამისად უწყების საქმიანობის პოზიტიური ასპექტების მიუხედავად, სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობა ვერ შეფასდება დავალების სრულყოფილ შესრულებად.

<u>საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება: საპარლამენტო დადგენილებაში ასახული „ბ“ და „ჯ“ ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ჰ) უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებების სოციალურ მუშაკთა სწავლება/გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და ზრდასრულთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის სპეციფიკურ საკითხზე, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის ეთიკურ სტანდარტსა და თავისებურებებზე;

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„უზრუნველყოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებების სოციალურ მუშაკთა, სულ მცირე, 50%-ის სწავლება/გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და ზრდასრულთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის სპეციფიკურ საკითხზე, ასევე, შშმ პირებთან კომუნიკაციის ეთიკურ სტანდარტსა და თავისებურებებზე“*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის

სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველეყო სსიპ. „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ რაიონული განყოფილებების მუშაკთა მინიმუმ 50%-ის სწავლა/გადამზადება.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულების ინდიკატორს, სწავლება/გადამზადების პროცესის უზრუნველყოფასთან ერთად გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა წარმოადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში არ არის გაზიარებული სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი შემადგენელი ნაწილი, პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაზიარებულად ვერ შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო პარლამენტის დადგენილების „ჰ“ ქვეპუნქტით სამინისტროსადმი გაცემული დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[1]) დანერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმი; შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდოლოგია;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში არ დანერგილა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ზედამხედველობის ახალი, ეფექტიანი მექანიზმი. შესაბამისად უწყების მიერ არც ახალი მეთოდოლოგია იქნა შემუშავებული.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[2])უზრუნველყოს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის უმოკლეს ვადაში შემუშავება და ამ სტრატეგიის შესაბამისად დაიწყოს თემზე დაფუძნებული სერვისების დანერგვა, მათ შორის, თავშესაფრების, დღის ცენტრებისა და თანამედროვე, თემზე დაფუძნებული „დაცული საცხოვრებლების“ მოწყობით;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არ შემუშავებულა დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფდა თემზე დაფუძნებული სერვისების დანერგვას, თავშესაფრის დღის ცენტრებისა და თანამედროვე, თემზე დაფუძნებული „დაცული საცხოვრებლების“ მოწყობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[3]) უზრუნველყოს სოციალურ ინტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე დაფუძნებული სერვისების განვითარება, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კომპონენტის ბიუჯეტის გაზრდით;

ფსიქიური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კომპონენტის ბიუჯეტი 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით 11 200 (თერთმეტი ათას ორასი) ლარით გაიზარდა და 88 000 (ოთხომცდა რვა ათასი) ლარი შეადგინა. 2020 წლისთვის კი აღნიშნული კომპონენტის ბიუჯეტი 101 000 (ას ერთი ათასი) ლარით განისაზღვრა.

სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს რესურსების ამგვარ ზრდას, თუმცა სოციალურ ინტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე დაფუძნებული სერვისების განვითარების დინამიკა და საჭიროება უწყების მხრიდან მეტ აქტივობას მოითხოვს. საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა უზრუნველყოფილი რეაბილიტაციის სერვისის განვითარება, არ გაზრდილა სარეაბილიტაციო ცენტრების რაოდენობაც. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საბიუჯეტო ზრდა, ვერ შეფასდება საპარლამენტო დავალების შესრულების თვითკმარ, სრულყოფილ საშუალებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ჰ[4]) უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზება, მათ შორის, განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული მომსახურების პროცედურების საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად;

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან თანამშრომლობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მეთოდებს, აგრეთვე არანებაყოფლობითი სტაციონარული მომსახურების მექანიზმებს, რომლებიც თავსებადია საერთაშორისო სტანდარტებთან.

იმის გათვალისწინებით, რომ ადრესატი უწყების მიერ საკანონმდებლო ცვლილებების პროცესში შემდგომი ჩართულობა მინიმალურია და გადაწყვეტილება კანონპროექტის მიღების შესახებ საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს, საპარლამენტო დავალება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შესრულებულად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ჰ[5]) უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში არ შეუმუშავებია ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის ახალი მექანიზმი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[6]) მიიღოს ქმედითი ზომები ფსიქიატრიის დარგში ადამიანური რესურსების (ფსიქიატრები, ფსიქოთერაპევტები, ფსიქიატრიის ექთნები, სოციალური მუშაკები) რაოდენობის გასაზრდელად და ქვეყნის მასშტაბით მათ სწორად გასანაწილებლად, ამასთანავე, შეიმუშაოს აღნიშნული ადამიანური რესურსების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია;

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის ფარგლებში, საექიმო სპეციალობაში - „ფსიქიატრია"-ში, რეზიდენტთა მზადების დაფინანსების უზრუნველსაყოფად, მომზადებულია შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი და წარდგენილია საქართველოს მთავრობის წინაშე ხელმოსაწერად.

იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა აღნიშნული ნორმატიული აქტი, აგრეთვე ფსიქიატრიის დარგში ადამიანური რესურსების ზრდის მისაღწევად უწყების მიერ არ განხორციელებულა სხვა ხელშესახები აქტივობაც, საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალება შესრულებულად არ უნდა შეფასდეს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[7])უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებში პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის (30%) გადამზადება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყნის მასშტაბით ქრონიკული დაავადებების მართვის მიმართულებით 1254 სოფლის ექიმი გადამზადდა.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, სამინისტროსგან ვერ მიიღო კონკრეტული ინფორმაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებში, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის გადამზადებული პერსონალის რაოდენობის შესახებ.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, მიერ

პარლამენტისთვის მიწოდებული ინფორმაციაც არ იძლევა აღნიშნული დავალების შეფასების შესაძლებლობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: სახელმწიფო უწყების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[8]) უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ განათლების დონისა და ცნობიერების ამაღლება;

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცება".*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, უწყებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველეყო ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცება.

საპარლამენტო დადგენილებაში აღნიშნული რეკომენდაციის ფორმულირება შეიცვალა და სამინისტროს, სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ნაცვლად ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ განათლების დონისა და ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა დაევალა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის შეფასების ინდიკატორს, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება წარმოადგენს, რაც პარლამენტის დადგენილებით გაცემულ დავალებაში გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაზიარებულად არ უნდა შეფასდეს,

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, პარლამენტის დადგენილების „ჰ[8]" ქვეპუნქტით სამინისტროსადმი გაცემული დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[9]) გადადგას ნაბიჯები პირთა მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროულად და ეფექტიანად გამოსავლენად და ამ პირთა სათანადო ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური სერვისებით უზრუნველსაყოფად;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არ გადადგმულა ნაბიჯები პირთა მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროულად და ეფექტიანად გამოსავლენად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[10]) უზრუნველყოს როგორც ნებაყოფლობითი, ისე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების (მათ შორის, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა) და იძულებითი სტაციონარული ფსიქიატრიული მომსახურების მიმღებ პირთა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ჩართვის დეტალური წესისა და პროცედურის განსაზღვრა ერთგვაროვანი, ეფექტიანი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არ განსაზღვრულა ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების და იძულებითი სტაციონარული ფსიქიატრიული მომსახურების მიმღებ პირთა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ჩართვის დეტალური წესი და პროცედურა, ერთგვაროვანი და ეფექტიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[11]) ის პაციენტები, რომლებიც არ სარგებლობენ სოციალური ბენეფიტით და არ ჰყავთ მხარდამჭერები, უზრუნველყოს საჭირო მედიკამენტებით;

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა კონკრეტული წესი, რომლის საფუძველზეც პაციენტები, რომლებიც არ სარგებლობენ სოციალური ბენეფიტით და არ ჰყავთ მხარდამჭერები, უზრუნველყოფილი იქნებოდნენ საჭირო მედიკამენტებით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[12]) უზრუნველყოს სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტ ქალთა ჯანმრთელობის დაცვა მათთვის ინფორმაციის გასაგები ფორმით მიწოდებით, აგრეთვე შესაბამისი სპეციალისტების მიერ მომსახურების დროულად და ეფექტიანად გაწევით;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ფსიქიატრიულ

დაწესებულებებში მოთავსებული ქალები არ ყოფილან უზრუნველყოფილნი შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, აგრეთვე პრობლემური იყო კვალიფიციური სპეციალისტის ჩართულობით, მათთვის დროულად და ეფექტიანად სათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[13]) უზრუნველყოს ხანდაზმულთა 24-საათიანი სათემო სერვისების სტანდარტების დროულად დამტკიცება და ამ სტანდარტების შესაბამისად ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის დანერგვა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, 2019 წელს არ ყოფილა უზრუნველყოფილი ხანდაზმულთა 24-საათიანი სათემო სერვისების სტანდარტების დამტკიცება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[14]) უზრუნველყოს გრძელვადიანი ზრუნვის კონცეფციისა და განხორციელების სტრატეგიის დროულად შემუშავება ფართო საზოგადოების მონაწილეობით;

საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ არ შემუშავებულა ხანდაზმულებზე გრძელვადიანი ზრუნვის კონცეფცია და მისი სისრულეში მოყვანისთვის საჭირო სტრატეგიული გეგმა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[15]) შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე, შეაფასოს ხანდაზმულთა დასაქმების შესაძლებლობები; დასაქმების ხელშემწყობ სახელმწიფო პროგრამაში გაითვალისწინოს ხანდაზმულთა სპეციალური საჭიროებები;

ჰ[16]) უზრუნველყოს ხანდაზმულთა სპეციფიკური პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული საჭიროებების შესწავლა და შესაბამის პროგრამებში გათვალისწინება;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ხანდაზმულთა დასაქმების შესაძლებლობების შეფასების და ხელშეწყობის მიზნით არ ჩატარებულა შრომის ბაზრის კვლევა, აგრეთვე არ ყოფილა გამოკვლეული ხანდაზმულთა სპეციფიური პროფესიული საჭიროებები, შესაბამისად არ მოხდა მათი პროგრამებში გათვალისწინებაც.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საპარლამენტო დადგენილებაში ასახული „ჰ[15] და "ჰ[16] დავალებები არ არის შესრულებული.</u>

ჰ[17]) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე ექიმები ჩართოს გადამზადების იმ პროგრამებში, რომლებსაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მომუშავე ექიმები გადიან; უზრუნველყოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისა და პერსონალის მეტი მხარდაჭერა;

ჰ[18]) უზრუნველყოს ღონისძიებების განხორციელება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტებისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეფექტიანად გასაწევად;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, დგინდება რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე ექიმები ერთვებიან გადამზადების პროგრამებში, რომლებშიც დანარჩენ ტერიტორიაზე მომუშავე მედიკოსები არიან ჩართულები.

აგრეთვე, „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N693 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სპეცდაფინანსებაზე იმყოფება რამდენიმე საავადმყოფო, რომლებიც უზრუნველყოფენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტებისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეფექტიანად გაწევას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საპარლამენტო დადგენილებაში ასახული „ჰ[17] და "ჰ[18] დავალებები შესრულებულია.</u>

ჰ[19]) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაიწყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები და გამოსყიდული 826 ბინა 2019 წელს სრულად გაანაწილოს დევნილებზე;

2019 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით გამოსყიდული 826 ბინიდან, 707 განაწილდა დევნილებზე.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ჰ[20]) გააგრძელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ერთოთახიანი და ოროთახიანი ბინების შესყიდვისთვის დაგეგმილი პროცედურები და განახორციელოს შესაბამისი სულადობის ოჯახების განსახლება;

საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისში 362 ოჯახს გაუნაწილდა ერთი და ორ ოთახიანი ბინები. ერთ ოთახიანი - 219 ოჯახს; ორ ოთახიანი - 143 ოჯახს;

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ჰ[21]) გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმებით მძიმე საცხოვრებელი პირობებისთვის გათვალისწინებული ქულა დევნილ ოჯახს მიანიჭოს წინასწარი შეფასების ეტაპზე, შესაბამისი მტკიცებულებების (მაგალითად, ფოტოსურათების) წარდგენის შემთხვევაში;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში, გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმებით მძიმე საცხოვრებელი პირობებისთვის გათვალისწინებული ქულა, არც ერთი დევნილი ოჯახისთვის არ მიუნიჭებიათ წინასწარი შეფასების ეტაპზე, შესაბამისი მტკიცებულების (მაგალითად, ფოტოსურათების) წარმოდგენისას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[22]) მომეტებული საფრთხის პირობებში მცხოვრებ ეკომიგრანტთა ოჯახების რაოდენობა გაითვალისწინოს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე და განსახლებისთვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 30% მოახმაროს ამგვარი ოჯახების განსახლებას;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მომეტებული საფრთხის პირობებში მცხოვრები, მხოლოდ 28 ეკომიგრანტი ოჯახი იქნა განსახლებული. საპარლამენტო დავალების მიზნებისთვის, უწყების საქმიანობა დადებითად შეფასდებოდა თუ განსახლებას დაექვემდებარებოდა 63 ოჯახი, ნაცვლად 28 ოჯახისა, რადგან პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრული დავალების შესრულების მიზნებისთვის სწორედ 63 ოჯახის განსახლება იყო საჭირო. იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტროს საქმიანობით, საპარლამენტო დავალებით გათვალისწინებული ოჯახების ნახევარიც არ იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი მომსახურებით, დავალება შეუსრულებლად შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[23])დაასრულოს 2004–2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემის პროცესი;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ დასრულებულა 2004-

2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[24]) უზრუნველყოს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, აგრეთვე ბენეფიციარებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

2019 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამების შესახებ, აგრეთვე გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომელშიც გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ, უზრუნველყოფილ იქნა ინტეგრაციის ცენტრში საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.

საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პროცესში არსებული გამოწვევების და საზოგადოებაში არსებული ცნობიერების დონის გათვალისწინებით, მიუხედავად გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობები, ვერ შეფასდება საპარლამენტო დავალების შესრულების თვითკმარ, სრულყოფილ საშუალებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ჰ[25]) უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის ქართული ენის კურსების ხელმისაწვდომობა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2019 წლის აპრილში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსის გამარჯვებულმა ორგანიზაციამ, ივნისის თვიდან ბენეფიციარები უზრუნველყო, ქართული ენის და ისტორიის უფასო კურსებით. აღნიშნული საგრანტო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ 100 თავშესაფრის მაძიებელს ჰქონდა შესაძლებლობა შეესწავლა ქართული ენა, მაშინ როდესაც 2019 წელს, სულ 1237 უცხო ქვეყნის მოქალაქე დარეგისტრირდა თავშესაფრის მაძიებელ პირად. შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის ქართული ენის კურსების ხელმისაწვდომობას, განხორციელებული დავალება ვერ შეფასდება სრულყოფილად შესრულებულად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ჰ[26]) უზრუნველყოს თავშესაფრების ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებთან თანამშრომლობის გაძლიერება და კოორდინაცია ბენეფიციართა ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ გაძლიერდა თავშესაფრების ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებთან თანამშრომლობა, ბენეფიციართა საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ჰ[27]) დახვეწოს თავშესაფრების ფიზიკური გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურებისთვის და უზრუნველყოს შენობების სავალდებულო სტანდარტების შესაბამისად ადაპტირება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ არ განხორციელებულა აქტივობები, რაც უზრუნველყოფდა თავშესაფრების ფიზიკური გარემოს იმგვარად დახვეწას, რაც შენობებით სარგებლობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გახდიდა შესაძლებელს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[28]) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების შესწავლისა და პროფესიული განვითარების საბჭოსთვის განსახილველად მიწოდების გონივრული ვადები, აგრეთვე შეიმუშაოს სხვა პროცედურული საკითხების მომწესრიგებელი ნორმები;

2019 წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ განუსაზღვრავს მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების შესწავლისა და პროფესიული განვითარების საბჭოსთვის განსახილველად მიწოდების გონივრული ვადები და სხვა პროცედურული საკითხები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[29]) გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების გათვალისწინებით, შეიმუშაოს და განახორციელოს გეგმა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ელექტრონულ რესურსებზე პროფესიული განვითარების საბჭოს შესახებ ინფორმაციის განსათავსებლად;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად - „სააგენტოს ვებგვერდზე rama.moh.gov.ge არსებობს ველი - „პროფესიული განვითარების საბჭო", სადაც განთავსებულია/განთავსდება საბჭოს ზოგადი მარეგულირებელი გადაწყვეტილებები.

აღნიშნული ვებგვერდის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უწყების მიერ მითითებულ ველზე -„პროფესიული განვითარების საბჭო", სადაც განთავსებული უნდა ყოფილიყო საბჭოს გადაწყვეტილებები, უკანასკნელი ინფორმაცია 2015 წელს არის განახლებული.

სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ უწყებაში არ არის შემუშავებული გეგმა, რომელიც აღნიშნული დავალების შესრულებას შესაძლებელს გახდის.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[30]) ხარისხიანი მედიკამენტების დაუბრკოლებლად შესყიდვის მიზნით იმ ფსიქიატრიული დაწესებულებისთვის, რომელიც არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და რომლის წილის 50%-ზე მეტს სახელმწიფო ფლობს, დაამტკიცოს მედიკამენტების შესყიდვის სპეციალური წესი და განსაზღვროს, რომ ასეთ დაწესებულებას შეუძლია მედიკამენტების გამარტივებული წესით შესყიდვა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ იმ ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის, რომელთა 50%-ზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია, მედიკამენტების გამარტივებული შესყიდვის მიზნით საკითხის დასარეგულირებლად სამინისტრო გეგმავს კონსულტაციების დაწყებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[31]) საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უზრუნველყოს „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტით;

საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არ არიან უზრუნველყოფილნი „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით გათვალისწინებული ბენეფიტით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[32]) შეიმუშაოს პროფილური ერთიანი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ონკოლოგიურ დაავადებათა ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენას, კიბოს გავრცელების შეფერხებას და ონკოლოგიური პაციენტებისთვის მკურნალობის ხელმისაწვდომობას;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არ შემუშავებულა პროფილური ერთიანი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა ონკოლოგიურ დაავადებათა ახალი შემთხვევების დროულ გამოვლენას, კიბოს გავრცელების შეფერხებას და ონკოლოგიური პაციენტებისთვის მკურნალობის ხელმისაწვდომობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[33]) გააუმჯობესოს სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია;

2019 წელს, სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა ცვლილებები სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების მეთოდოლოგიაში, რომელიც გააუმჯობესებდა მათი (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცესს და უზრუნველყოფდა საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების შესრულებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[34]) უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის მიერ უწყებათაშორისი კომისიის შექმნა და შეაფასოს საკვების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული საჭიროებები, განსაზღვროს შესაბამის უფლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკა (რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით) და ზედამხედველობა გაუწიოს მისი შესრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების საქმიანობას;

განსახილველი საპარლამენტო დავალება, სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს მთავრობას მიემართებოდა. საქართველოს პარლამენტის მიერ დავალების წარმოდგენილი ფორმულირებით ასახვა შეუძლებელს ხდის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს საქმიანობის შეფასებას, იმდენად, რამდენადაც თავად დადგენილების ტექსტი მიემართება საქართველოს მთავრობას და არა განსახილველ სამინისტროს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ ექვემდებარება შეფასებას</u>

ჰ[35]) გააძლიეროს უკიდურესი სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისგან ბავშვთა სათანადო დაცვა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით და მიემართებოდა საქართველოს მთავრობას:

> *„ბავშვთა სიღარიბის დაძლევის მიზნით, შეფასდეს სახელმწიფოში არსებული ბავშვზე ზრუნვის პროგრამების ეფექტიანობა და განხორციელდეს ცვლილებები ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმირების ფარგლებში იმგვარად, რომ არსებულმა პროგრამებმა ადეკვატურად უზრუნველყოს არასრულწლოვანთა დაცვა უკიდურესი სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისგან.*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, საქართველოს მთავრობას მიეცა რეკომენდაცია, შეეფასებინა სახელმწიფოში არსებული ბავშვზე ზრუნვის პროგრამების ეფექტიანობა და განეხორციელებინა ისეთი ცვლილებები, რომელიც ადეკვატურად უზრუნველყოფდა არასრულწლოვანთა დაცვას უკიდურესი სიღარიბის და ცხოვრების არასათანადო დონისგან.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის ფორმულირების ამგვარი ცვლილება არსებითად ცვლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულებას, შესაბამისად, სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტის მიერ გაზიარებულად ვერ შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო პარლამენტის დადგენილების ჰ[35] პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[36]) სრულწლოვანების ასაკს მიღწეულ, სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ ბენეფიციართათვის დაიწყოს მხარდაჭერის ქვე-პროგრამის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყებაში არ დაწყებულა სრულწლოვანების ასაკს მიღწეულ სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ბენეფიციარებისთვის მხარდაჭერის ქვე-პროგრამის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[37]) „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, გააძლიეროს სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, თბილისსა და ქუთაისში შეიქმნება ფსიქოლოგიურ-სოციალური სარეაბილიტაციო მექანიზმი, რომელიც უპასუხებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საჭიროებებს.

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ ამ ეტაპზე სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები სათანადო დონეზე არ არის გაძლიერებული და ამ მიზნის მისაღწევად საანგარიშო პერიოდში არსებითი ხასიათის აქტივობა არ განხორციელებულა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[38]) დროულად შეიმუშაოს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის კონცეფცია;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის კონცეფცია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[39]) შეიმუშაოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტული ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადები, განხორციელებისთვის პასუხისმგებელი უწყებები, დაფინანსების კომპონენტი და შედეგების განსაზღვრის ინდიკატორები;

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნული რეკომენდაციის ადრესატი საქართველოს მთავრობა იყო. საქართველოს პარლამენტის მიერ დავალების ადრესატი უწყების ცვლილებამ შეუძლებელი გახადა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობის შეფასება. როგორც ამას თავად სამინისტრო ასაბუთებს, აღნიშნული საკითხი, მისი მრავალმხრივი ბუნებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში უნდა დარეგულირდეს. სამინისტროსპოზიციას იზიარებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიც.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[40]) ხელი შეუწყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და რთული ქცევის მქონე ბავშვებისთვის არსებული სერვისების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას, მათ შორის, სარეაბილიტაციო სერვისების გაფართოების, დაფინანსების გაზრდისა და ეფექტიანი მონიტორინგის გზით;

ჰ[41]) უზრუნველყოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის შესაბამის კომპონენტებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და რთული ქცევის მქონე ბავშვების სამიზნე ჯგუფად გათვალისწინება და მათთვის სათანადო სერვისის მიწოდება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საპილოტე რეჟიმში, ქ. თბილისში 2019 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირება დაიწყო სოციალურ-პედაგოგიურმა ცენტრმა ,,კომპასი". მისი მიზანია რთული ქცევის მქონე მოზარდებისათვის (12-18 წლის) სოციალურ-პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდება.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს, აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობას, თუმცა მხოლოდ ამ ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტის მიერ სამინისტროსთვის დადგენილებით გაცემული დავალებები შესრულებულად ვერ შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: „ჰ[40]" და „ჰ[41]" პუნქტებით განსაზღვრული დავალებები არ შესრულებულა.</u>

ჰ[42]) უზრუნველყოს ზრდასრულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის ქვეპროგრამის შემუშავება და ამოქმედება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა

უზრუნველყოფილი ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის ქვეპროგრამის შემუშავება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[43]) გაზარდოს ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრებისა და სათემო ორგანიზაციების მომსახურებების ქვეპროგრამების ხელმისაწვდომობა;

ჰ[47]) გაზარდოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის ბიუჯეტი.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2019 წელს გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 700 000 (შვიდასი ათასი) ლარით და შეადგინა 2 371 200 (ორი მილიონ სამას სამოცდათერთმეტი ათას ორასი) ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა თვეში 9520-მდე,

ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამის 2019 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარით და შეადგინა 3 400 000 (სამი მილიონ ოთხასი ათასი) ლარი. ამასთან, ქვეპროგრამის ფარგლებში გაიზარდა დაფინანსებული კურსების რაოდენობა და თითოეულ ბენეფიციარი წლის განმავლობაში 7-ის ნაცვლად 8 კურსით არის უზრუნველყოფილი. ათდღიანი კურსის ღირებულების ასანაზღაურებელი ვაუჩერის ფასი 308 ლარიდან გაიზარდა 330 ლარამდე.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის" ბიუჯეტების ზრდის დადებითი ტენდენციის მიუხედავად, 2019 წელს იკლო მიზნობრივი ქვეპროგრამებით მოსარგებლე შშმ პირთა (მათ შორის, შშმ ბავშვთა) რაოდენობამ. კვლავ გამოწვევად რჩება ქვეპროგრამით სარგებლობის მომლოდინე ბენეფიციართა რიგების არსებობა და ცალკეული ქვეპროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ პირთა საჭიროებებზე გათვლილი მიზნობრივი სერვისების დიდი ნაწილი სრულად ვერ ფარავს რეგიონებს და ქვეყნის მასშტაბით არსებულ მოთხოვნებს.

შესაბამისად სახელმწიფო უწყების მიერ განხორციელებული საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს დავალებების სრულყოფილად შესრულებას.

სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.

ჰ[44]) დაამტკიცოს საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა საზოგადოების, მათ შორის, ხანდაზმულ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციათა, ფართო ჩართულობით;

ჰ[45])საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის ახალ სამოქმედო გეგმაში, სხვა ღონისძიებებთან ერთად, გაითვალისწინოს „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით" გათვალისწინებული ყველა საქმიანობა, რომლებიც პასუხისმგებელმა უწყებებმა დადგენილ ვადებში არ განახორციელეს; თითოეული ასეთი საქმიანობისთვის განსაზღვროს დაფინანსების წყარო და განხორციელების ინდიკატორი;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, 2020 წლის მარტის მდგომარეობით, არ შემუშავებულა დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის ახალი სამოქმედო გეგმა, აგრეთვე მიმდინარე პერიოდშიც არ დასრულებულა 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის შეფასება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[46]) უზრუნველყოს ხანდაზმულთათვის ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების, მათ შორის, შინ მოვლისა და დღის ცენტრების მომსახურებების, განვითარება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი რესურსების გამოყოფით;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა უზრუნველყოფილი ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების, მათ შორის, შინ მოვლისა და დღის ცენტრების მომსახურებების განვითარება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ 36 დავალება გაიცა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში არსებული სხვა ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია 33 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა: 6

არ შესრულდა: 21

ნაწილობრივ შესრულდა: 6

პარლამენტის მიერ სახალხო დაცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო

შეფასებას არ ექვემდებარება: : 3

საპარლამენტო დავალებები:

ა) უზრუნველყოს ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება და შეფასების დოკუმენტის შექმნა;

საანგარიშო პერიოდში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავდა ტრენინგ მოდული „გენდერული თანასწორობა/რეპროდუქციული ჯანმრთელობა/ჯანსაღი ცხოვრების წესი/უფლებები", რომელშიც შეტანილია ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხი. აგრეთვე შექმნილია შესაბამისი შეფასების დოკუმენტიც. აღნიშნულის მიუხედავად, მოცემული ტრენინგ მოდულით უწყებას პედაგოგთა სწავლება არ განუხორციელებია, შესაბამისად, საპარლამენტო დავალება სრულყოფილად შესრულებულად ვერ შეფასდება.

<u>**სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.**</u>

ბ) გაამკაცროს რეფერირების შესახებ დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტების კონტროლი;

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირების პროცედურების განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, მომზადდა მინისტრის ბრძანების შესაბამისი პროექტი, რომელიც 2020 წლის თებერვალში მიიღეს.

<u>**სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულდა**</u>

გ) უზრუნველყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ კომპლექსური განათლების ფორმალური განათლებისა და არაფორმალური განათლების სისტემაში ინტეგრირება;

ა) საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კომპლექსური განათლება ინტეგრირდეს ფორმალურ და არაფორმალურ სისტემაში."*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლების საკითხების ფორმალურ და არაფორმალურ განათლების სისტემებში ინტეგრირების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში დავალების ტექსტის წარმოდგენილი სახით ფორმულირებამ შინაარსი გამოაცალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის ძირითად სულისკვეთებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

დ) გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა სწავლება საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებისა და სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;

ა) საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის მიცემული დავალება, სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„შეიქმნას ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებისა და სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით."*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, შეექმნა ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და ამ პროცესში გაეთვალისწინებინა არსებული, წარმატებული საერთაშორისო გამოცდილება.

საპარლამენტო დადგენილებაში რეკომენდაციის ტექსტის ამგვარი ფორმულირებით, საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაციის შეფასების ძირითადი ინდიკატორი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ე) უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციის საჯარო სკოლის დირექტორისთვის აუცილებელ ცოდნასა და უნარებში გათვალისწინება.

„საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის N15/ნ ბრძანებით, დამტკიცდა საჯარო სკოლის დირექტორის ახალი სტანდარტი და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის №115/ნ ბრძანება.

დაგეგმილია დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების პროცესი. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, 2020 წლის 4 თებერვლის N142 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპის საგამოცდო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულდა</u>

ვ) ადამიანის უფლებების (განსაკუთრებით – ბავშვის უფლებების) შესახებ საბაზისო ცოდნის მოთხოვნა ასახოს ზოგადი განათლების საფეხურის ყოველი საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებლისთვის განსაზღვრულ სტანდარტში

განათლების საფეხურებზე საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებისთვის არ განსაზღვრულა სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებების (განსაკუთრებით - ბავშვის უფლებების) შესახებ საბაზო ცოდნის მოთხოვნის სავალდებულობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ზ) შეიმუშაოს წესი, რომლითაც მკაფიოდ განისაზღვრება საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ლექციების, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებისთვის საჭირო ნებართვის გაცემის პირობები, წესები, ვადა და კრიტერიუმები;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ არ შემუშავებულა წესი, რომლითაც განისაზღვრებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ლექციების, სემინარების და ტრენინგების ჩატარებისთვის საჭირო ნებართვის გაცემის პირობები, წესები, ვადა და კრიტერიუმები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

თ) სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის შეიმუშაოს სახელმძღვანელო „სახელმწიფო და სამართალი" და შესაბამისი დამხმარე ლიტერატურა;

სკოლის მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის არ შემუშავებულა გრიფირებული სახელმძღვანელო „სახელმწიფო და სამართალი“ და შესაბამისი დამხმარე ლიტერატურა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ი) აქტიურად განახორციელოს ღონისძიებები სკოლებში სახელმძღვანელოს „სახელმწიფო და სამართალი“ პოპულარიზაციისთვის;

საქართველოს განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა ღონისძიებები, სახელმძღვანელოს - „ სახელმწიფო და სამართალი-ის“ პოპულარიზაციისთვის.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

კ) უზრუნველყოს სკოლებში წყალმომარაგების მილსადენი სისტემების დროულად შეყვანა, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით – სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა და მისი ხარისხის კონტროლი;

საქართველოს განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტროს მიერ, არ განხორციელებულა აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფდა ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან თანამშრომლობას, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის და მისი ხარისხის კონტროლის მიზნით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ლ) სასწავლო პროგრამებში შეიტანოს წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების სწავლების საკითხები;

საქართველოს განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტროს მიერ, სასწავლო პროგრამებში არ შეტანილა წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სწავლების საკითხები.

სამინისტროსგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტში ერთ-ერთი მიმართულების მიზანია გარემოსდაცვითი ცნობიერების და გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბების მნიშვნელობის ჩვენება, მდინარეების და ზღვების დაბინძურების საკითხების განხილვა. აღნიშნული სასწავლო პროგრამები არ მოიცავს საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალების შესასრულებლად საჭირო სწავლების საკითხებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

მ) განსაზღვროს მოსწავლის სკოლაში ზედიზედ 90 სასწავლო დღის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში სკოლის მიერ რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „„თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში

გამოუცხადებლობა/დაგვიანება გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, მანდატური/უფლებამოსილი პირი ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად."

საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, უწყებას დაევალა განესაზღვრა, მოსწავლის სკოლაში ზედიზედ 90 სასწავლო დღის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში სკოლის მიერ რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი, რაც სახელმწიფო უწყების მიერ არ განხორციელებულა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ნ) საჯარო სკოლებს მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევაში მისი უფლებრივი მდგომარეობისა და ინტერესების დაცვის მიზნით არსებული რეაგირების მექანიზმისა და მათი ვალდებულებების შესახებ; აღნიშნულ პროცესს მუდმივად უწევდეს ზედამხედველობას;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიული ორგანოების მიერ არ ხორციელდება ეფექტური ზედამხედველობა საჯარო სკოლებში არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმების ეფექტიანობასა და სკოლების ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შეფასების მიზნით.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ო) გაზარდოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების რაოდენობა და არსებული ცენტრების შესაძლებლობები;

საანგარიშო პერიოდში სსიპ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების 2 ახალი ცენტრი გაიხსნა სამცხე ჯავახეთსა და სამეგრელოში. არსებული მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით 10 ასეთი ცენტრი ფუნქციონირებს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

პ) გადახედოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვანთა საჯარო სკოლაში ჩარიცხვის ზოგად წესს და უზრუნველყოს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რათა თითოეული არასრულწლოვანი დროულად ჩაირიცხოს საჯარო სკოლაში; ამასთანავე, როდესაც არსებობს ვარაუდი და ინფორმაცია არასრულწლოვნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ, დროულად უზრუნველყოს შესაბამისი შეფასება,

მისთვის სათანადო სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და სპეციალური პედაგოგის შტატის დამატება;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ სამინისტრო მომავალში გადახედავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული პირების საჯარო სკოლაში ჩარიცხვის არსებულ ზოგად წესს.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჟ) გაზარდოს დაფინანსება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

2019 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა ცვლილება „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N476 დადგენილებაში, რომლის შესაბამისადაც, საჯარო სკოლებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით, გამოყოფილი დამატებითი დაფინანსება გაიზარდა. კერძოდ,

> ა) 1-დან 5-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 7,200.0 ლარი;
> ბ) 6-დან 10-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 13,200.0 ლარი;
> გ) 11-დან 15-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 19,200.0 ლარი;
> დ) 16-დან 20-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 25,200.0 ლარი;
> ე) 21-დან 25-ის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 31,200.0 ლარი;
> ვ) 26-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის – 37,200.0 ლარი.

საქართველოს სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სკოლებისთვის გაზრდილ დაფინანსებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

რ) მასწავლებლებისთვის უზრუნველყოს პრაქტიკაზე ორიენტირებული, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) მოსწავლეთა

საგანმანათლებლო საჭიროებების თაობაზე სატრენინგო მოდულები, მათ შორის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენასთან, მოსწავლეთა რთული ქცევის მართვასთან, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე, მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთვის არაერთხელ დასმული შეკითხვის მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ვერ მიიღო კონკრეტული ინფორმაცია შემუშავებული სასწავლო მოდულის აგრეთვე სწავლების ჩატარების პერიოდის შესახებ. შესაბამისად სახალხო დამცველის მიერ საპარლამენტო დავალება შეუსრულებლად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ს) უზრუნველყოს უმაღლესი განათლების სისტემაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების შესახებ სტატისტიკის წარმოება;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ არ არის უზრუნველყოფილი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების შესახებ სტატისტიკის წარმოება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ტ) უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების დამაბრკოლებელი გარემოებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საჭიროებების შესწავლა, აგრეთვე შესწავლის შედეგების საფუძველზე მიზნობრივი ღონისძიებების ორგანიზება;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ შესწავლილა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების დამაბრკოლებელი გარემოებები და სტუდენტთა საჭიროებები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

უ) კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაცია და ზედამხედველობა გაუწიოს იმას, რომ სკოლებმა:

უ.ა) შეიმუშაონ ინკლუზიური განათლების დანერგვის სამოქმედო გეგმა;

უ.ბ) უზრუნველყონ საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ინკლუზიური განათლების დამატებითი სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჟესტური ენის სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ენისა და მეტყველების თერაპევტი) დაქირავება;

უ.გ) უზრუნველყონ ინდივიდუალური ასისტენტის (ასისტენტების) შტატში აყვანა, თუ სკოლაში სწავლობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) მოსწავლეები, რომლებსაც გადაადგილების დროს დახმარება სჭირდებათ, განვითარებული არ აქვთ თვითმომსახურების ჩვევები ან აქვთ სირთულეები ქცევის მართვაში;

უ.დ) უზრუნველყონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) მოსწავლეთათვის სკოლების გარე და შიდა ინფრასტრუქტურისა და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა მათი საჭიროებების შესაბამისად;

უ.ე) უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა მშობლების მონაწილეობით, ისეთი შემადგენლობით, რომელიც ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს, და მონიტორინგის პერიოდულად განხორციელება;

უ.ვ) შეიმუშაონ ძალადობისგან მოსწავლეთა დაცვის შიდა ინსტრუქცია;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებულია „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი". აღნიშნული აქტების საფუძველზე ინკლუზიური განათლების დანერგვის სამოქმედო გეგმა შემუშავებულია 1320 საჯარო სკოლაში. დღეის მდგომარეობით, 146 საჯარო სკოლაში დასაქმებულია 235 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის და მათი რაოდენობის შესახებ, აგრეთვე აღნიშნულ პროცესზე მონიტორინგის მიზნით მას არ განუხორციელებია რელევანტური საქმიანობა.

გარკვეული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიუხედავად, აღნიშნული საკმარისი არ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) მოსწავლეთათვის სკოლების გარე და შიდა ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის პოზიტიურად შესაფასებლად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყების დაქვემდებარებაში მყოფ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში და ასევე სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების შიდა ინსტრუქციები და განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/პირები, თუმცა მოსწავლეთა ძალადობისგან დაცვის

შიდა ინსტრუქცია სკოლებში დამტკიცებული არ არის. შესაბამისად საპარლამენტო დავალების აღნიშნული ნაწილი არ ითვლება შესრულებულად.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სახალხო დამცველის მიერ საპარლამენტო დავალება ნაწილობრივ შესრულებულად ფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ფ) ხელი შეუწყოს მულტილინგვური (ბილინგვური) სწავლების ეფექტიანობის გაზრდას შესაბამისი სახელმძღვანელოების შემუშავების, აგრეთვე მასწავლებლების მოზიდვისა და კვალიფიკაციის ამაღლების გზით;

მულტილინგვური სწავლების ეფექტიანობის გაზრდის, აგრეთვე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2019 წლის მაისში, სკოლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ესტონეთში, სადაც საგაკვეთილო პროცესებს დაესწრნენ . აღნიშნული აქტივობის გარდა, სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა სხვა სახის საქმიანობა, რომელიც ხელს შეუწყობდა პედაგოგთა მოზიდვას ან შესაბამისი სახელმძღვანელოების შემუშავებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ქ) გააგრძელოს მუშაობა სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შემუშავებისთვის და მათი გრიფირების პროცედურის განსახორციელებლად;

საანგარიშო პერიოდში ეროვნული უმცირესობების ენებზე ითარგმნა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი, უმაღლესი შეფასების მქონე გრიფმინიჭებული დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების ყველა საგნის სახელმძღვანელო. თუმცა ამ დროისთვის არ არის უზრუნველყოფილი წიგნების ბეჭდვა. სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დგინდება, რომ მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უნდა მიეწოდოთ 2020 წლის მარტიდან.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ღ) განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში, მათ შორის, ე. წ. „ახალი სკოლის მოდელში", გაითვალისწინოს ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა;

განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში, მათ შორის, ე.წ. „ახალი სკოლის მოდელში", სამწუხაროდ საანგარიშო პერიოდშიც არ ყოფილა გათვალისწინებული ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ყ) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გააძლიეროს სახელმწიფო ენის სწავლება, მათ შორის, შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლების მოზიდვის, მათთვის სათანადო ანაზღაურების მიცემის და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების გზით;

საქართველოს განათლების, მეცნიერების და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გარდა, კონსულტანტ-მასწავლებლები თანამშრომლობენ ადგილობრივ მასწავლებლებთან და ჩართულნი არიან პროფესიული განვითარების აქტივობებში. კონსულტანტ-მასწავლებლის სახელფასო დანამატი შეადგენს 1250 ლარს.

პროცესში აგრეთვე ჩართულია დამხმარე მასწავლებლებიც, რომელთა ანაზღაურება 625-750 ლარს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით ისარგებლა ეროვნული უმცირესობების 3537-მა წარმომადგენელმა, საიდანაც დაკომპლექტდა 275 სასწავლო ჯგუფი, 4 ქალაქში, 63 სოფელსა და 7 სამხედრო ბაზაზე.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

შ) გააძლიეროს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების სწავლება, კერძოდ, ყურადღება დაუთმოს შესაბამისი სახელმძღვანელოების შემუშავებასა და გამოცემას, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და სწავლების ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ინტეგრირებას;

საანგარიშო პერიოდში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ არ გაძლიერებულა მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების სწავლება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჩ) გადადგას ქმედითი და ეფექტიანი ნაბიჯები ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციისთვის;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყება შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფს საპარლამენტო დავალების შესრულებას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ც) გადადგას ქმედითი ნაბიჯები ბოშა ბავშვების განათლების უფლების რეალიზების ხელშესაწყობად; მონიტორინგი გაუწიოს მათ მიერ სკოლის მიტოვების მიზეზებს და ხელი შეუწყოს მათ განათლების სისტემაში ინტეგრირებას;

2017-2019 წლებში, არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელდა ე. წ. ,,უხილავი" ბოშა მოზარდების საგანმანათლებლო გარემოში მოზიდვა და, მათიშეფასება

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. სპეციალურად მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური გეგმით მიმდინარეობდა სწავლება საბაზო საფეხურზე.

2017-2019 წლებში ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის საჯარო სკოლების მიერ საგრანტო კონკურსით, ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის შეთავაზებული იყო გასვლითი ტრენინგები, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ბოშა მოზარდებს და მათ თანატოლებს საშუალება ჰქონდათ ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ ინფორმაცია ბოშათა კულტურასა და ყოფაზე.

2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში ჩართული იყო სულ 65 ბოშა.

სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული პოზიტიური საქმიანობის მიუხედავად, იგი ვერ პასუხობს ბოშა ბავშვების საჭიროებებს, შესაბამისად სამინისტროს აქტივობები ვერ შეფასდება საპარლამენტო დავალების შესრულების სრულყოფილ საშუალებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ძ) განახორციელოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მომუშავე მასწავლებლების სისტემური გადამზადების პროგრამები, მათ შორის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის, ღირებულებებისა და ინსტიტუტების შესახებ;

განსახილველი საპარლამენტო დავალების მიზანი იყო, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მომუშავე მასწავლებლებს, სისტემატური გადამზადების პროგრამებით, მიეღოთ ინფორმაცია დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის, და ინსტიტუტების შესახებ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყებას, საანგარიშო პერიოდში დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად რელევანტური საქმიანობა არ განუხორციელებია.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

წ) საქართველოს ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ან დაფინანსებულ საზაფხულო ბანაკებსა და საზაფხულო სკოლებში მყოფი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის დანერგოს ქართული ენის სწავლება, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სტუდენტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის პარალელურად, შესთავაზოს ქართული ენის სასწავლო პროგრამები;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ, ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ან დაფინანსებულ საზაფხულო სკოლებში, უზრუნველყოფილი იყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 235 არასრულწლოვნის

ჩართულობა. საზაფხულო სკოლების ფარგლებში, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების პარალელურად, უზრუნველყოფილია ქართული ენის შემსწავლელი პროგრამების მიწოდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ჭ) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტებისთვის შეიმუშაოს სტიპენდიით ან/და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა, რათა მათ შესაბამისი გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში შეძლონ სწავლის უნივერსიტეტში გაგრძელება;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროში, 2019 წელს ამოქმედდა „სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამა". აღნიშნულის ფარგლებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთო საცხოვრებლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ზუგდიდის უნივერსიტეტის ბაზებზე. პროგრამით 2019 წელს, 36-მა ბენეფიციარმა ისარგებლა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული ტიპის პოზიტიურ ცვლილებებს, თუმცა ხაზს უსვამს სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფის საჭიროებასაც, რათა მათ შესაბამისი გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში შეძლონ სწავლის უნივერსიტეტში გაგრძელება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ შესრულებულია.</u>

ხ) შეიმუშაოს კვალიფიკაციის ამაღლების, სასწავლო პროცესის ხელშეწყობის და ინვენტარით უზრუნველყოფის ახალი პროგრამები ან გააფართოოს არსებული ინიციატივები და ისინი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროებებს მოარგოს, რათა ნაწილობრივ მაინც შეივსოს დანაკლისი და გამოსწორდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ზოგადი განათლების ეტაპზე დაშვებული ხარვეზები;

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე მოქმედი სკოლების მასწავლებლების და მოსწავლეების საჭიროებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ არ შემუშავებულა ახალი პროგრამები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჯ) მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებში ასახოს ადამიანის უფლებათა საკითხების შესახებ ცოდნა და შესაბამისი ღირებულებები;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელში არ არის ასახული ადამიანის უფლებათა საკითხების შესახებ ცოდნა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ) უზრუნველყოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის პროექტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტში ინიცირება;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის" პროექტი, შესაბამისად არ მომხდარა აღნიშნულის პარლამენტში ინიცირება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[1]) განსაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული სამუშაოების ნებართვის გაცემის პროცესში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობის ვალდებულება;

აღნიშნული დავალება სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" სხვაგვარად იყო ფორმულირებული და მის ადრესატს სამინისტროს ნაცვლად საქართველოს მთავრობა წარმოადგენდა. კერძოდ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *„შევიდეს ცვლილება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ „საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილებაში და განისაზღვროს თბილისის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით სამუშაოების ნებართვის გაცემისას სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჩართულობა"*

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლი ადგენს, რომ კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აქვს უფლება განახორციელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილების დელეგირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტზე. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, საქართველოს მთავრობას მიეცა რეკომენდაცია, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილებაში განხორციელებულიყო იმგვარი ცვლილება, რომელიც ქ. თბილისის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით სამუშაო ნებართვის გაცემის

პროცესში, უზრუნველყოფდა სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჩართულობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობა თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული სამუშაოების ნებართვის გაცემის პროცესში, მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის #9-34 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულებით იყო და არის გათვალისწინებული. კერძოდ, საბჭოს, რომლის გადაწყვეტილებაც სარეკომენდაციო ხასიათისაა, შემადგენლობაში 9 წევრიდან შეიძლება შედიოდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 3 წარმომადგენელი. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ სხდომას ესწრება წევრთა 2/3, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ამრიგად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და სააგენტოს წარმოამდგენლის მონაწილეობის გარეშეც, შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანს სააგენტოს ჩართულობის იმგვარი უზრუნველყოფა წარმოადგენდა, რაც მას გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის უნარს შესძენდა.

საქართველოს პარლამენტის მიერ ადრესატი უწყების ცვლილებამ, შეუძლებელი გახადა საქართველოს სახალხო დამცველის მიზნის მიღწევა, ამდენად საპარლამენტო დადგენილებით, ერთი მხრივ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ არის გაზიარებული, ხოლო, მეორე მხრივ, დავალების შესრულების შეფასება არის შეუძლებელი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

ჰ[2]) უზრუნველყოს საჯარო სკოლებში წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების განახლება; შეაფასოს წყლის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზედამხედველობის მექანიზმის ეფექტიანობა და დაგეგმოს აღნიშნული ზედამხედველობის სისტემური და ეფექტიანი მექანიზმის განსაზღვრის მიზნით განსახორციელებელი ცვლილებები;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ არ განახლებულა საჯარო სკოლებში წყლისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები. აგრეთვე არ ყოფილა შეფასებული წყლის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზედამხედველობის მექანიზმის ეფექტიანობა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ჰ[3]) „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, გააძლიეროს სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში არ გაძლიერებულა მუშაობა, სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის მიმართულებით, იმგვარად, რაც უზრუნველყოფდა საქმიანობის ევროპის საბჭოს კონვენციასთან შესაბამისობას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტმა, განსახილველი საპარლამენტო დადგენილებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ 7 დავალება გასცა.

7 საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობის შედეგად, შემდეგი მდგომარეობა გამოიკვეთა:

შესრულდა: 2

არ შესრულდა: 4

ნაწილობრივ შესრულდა: 1

საპარლამენტო დავალებები:

ა) შეისწავლოს სახელმწიფოსთვის თითოეული ჰიდროელექტროსადგურის განხორციელებული, შეჩერებული და დაგეგმილი პროექტების ხარჯიანობა და სარგებლიანობა, ენერგეტიკული, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით, და აღნიშნულ ინტერესებს შორის ბალანსის დასაცავად დაგეგმოს განსახორციელებელი ღონისძიებები, ამასთანავე, კვალიფიციური და სრულყოფილი შესწავლის შედეგები გააცნოს ფართო საზოგადოებას;

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2018 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“. აქტების მიზანს, მათ შორის, საპარლამენტო დავალებაში ასახული საკითხების შესრულებაც წარმოადგენს.

მოცემული საპარლამენტო დავალების საფუძველზე, სამინისტრო ვალდებული იყო ასევე შეესწავლა წარსულში განხორციელებული ჰიდროელექტროსადგურების პროექტების ხარჯიანობა და სარგებლიანობაც, თუმცა აღნიშნული საქმიანობა სამინისტროს არ განუხორციელებია. ,

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, ვინაიდან საკანონმდებლო აქტები მომავალში უზრუნველყოფს საპარლამენტო დავალების მიზნის მიღწევას, ხოლო წარსულში განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით სამინისტროს არ გამოუვლენია მინიმალური აქტივობაც კი, საპარლამენტო დავალება ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ბ) ენერგორესურსების რაციონალური გამოყენებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს და დაამტკიცოს კვალიფიციური და საზოგადოებისთვის სანდო, გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებითაც განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადები და განხორციელებისთვის პასუხისმგებელი ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახული ამოცანების შესრულებას;

საანგარიშო პერიოდში, ენერგორესურსების რაციონალური გამოყენებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, სამინისტროს მიერ არ შემუშავებულა გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებითაც განისაზღვრებოდა კონკრეტული ღონისძიებები, ვადები და პასუხისმგებელი ორგანოები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) გადადგას ნაბიჯები გაზის გაჟონვითა და არასრული წვით გამოწვეული უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;

ეკონომიკის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონის პროექტის თანახმად, რომელიც სამი მოსმენით არის განხილული, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა ბუნებრივი გაზისა და ნახშირბადის მონოქსიდის დეტექტორების გამოყენებასთან დაკავშირებით

რეკომენდაციების შემუშავება, საკანონმდებლო აქტის თანახმად, კომისიამ რეკომენდაციები უნდა გამოაქვეყნოს კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია</u>

დ) ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს მომიჯნავე ობიექტების მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა ინტერესები შენობა-ნაგებობების მიმართ ინსოლაციის მინიმალური მოთხოვნების კუთხით;

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული საქმიანობის განხორციელების შესახებ რეკომენდაცია მიეცა საქართველოს მთავრობას.

საქართველოს კანონის, სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 142-ე მუხლის პირველის ნაწილის კ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობას დაევალა „შენობა-ნაგებობის მიმართ ინსოლაციის მინიმალური მოთხოვნების შესახებ" დადგენილების მიღება.

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ სამშენებლო და პოლიტიკის დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა დადგენილების პროექტზე და იგი ჯერ მიღებული არ არის.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული</u>

ე) განსაზღვროს საერთო სარგებლობის სავენტილაციო არხებზე გამწოვების დაერთების წესები და მათ დაცვაზე ზედამხედველი ორგანო;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ არ განსაზღვრულა საერთო სარგებლობის სავენტილაციო არხებზე გამწოვების დაერთების წესები და მათ დაცვაზე ზედამხედველი ორგანო.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ვ) განსაზღვროს ვალდებულება, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში ამ ნებართვის გამცემ ორგანოს წარედგინოს შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთების კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია, განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების სავალდებულო საექსპერტო შეფასება და დასკვნა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მესამე პირის საკუთრების უფლების შელახვის ალბათობა;

2019 წლის 3 ივნისიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის № 255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", რომელმაც დეტალურად განსაზღვრა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათ შორის, როგორც მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის კვლევის, ასევე, მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევის ჩატარების შემთხვევები.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ზ) დაამტკიცოს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“,უნივერსალური დიზაინის პრინციპებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სტანდარტის „მისაწვდომი და გამოყენებადი შენობები და ობიექტები“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, საპარლამენტო დავალებაში ასახული ინდიკატორების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ 4 დავალება გაიცა.

შესაფასებელი 4 საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

შესრულდა: 0

არ შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 2

ობიექტური საფუძვლით შეფასებას არ ექვემდებარება:1

საპარლამენტო დავალებები:

ა) გააუმჯობესოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა, მათ შორის, გაზარდოს მონიტორინგის სადგურების რაოდენობა და ისინი ევროკავშირის

დირექტივებით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით განათავსოს, ატმოსფერულ ჰაერში განსაზღვროს ეროვნულ დონეზე გათვალისწინებული ყველა მავნე ნივთიერების კონცენტრაცია და დანერგოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემა;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ. გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების მიზნით 2018-2019 წლებში შეიძინა და დაამონტაჟა ქალაქ რუსთავისა და თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თითო ახალი სტაციონარული ავტომატური სადგური.

სამინისტროს მიერ 2019 წელს დაიწყო გაეროს განვითარების პროგრამის „მმართველობის რეფორმის ფონდის" ქვე-პროექტის (#00097412, UNDP-GRF) - „ჰაერის ხარისხის მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოში" განხორციელება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი პოზიტიურად აფასებს სამინისტროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება სადამკვირვებლო სადგურების მცირე რაოდენობა. გარდა ამისა, ამ დრომდე არ არის ინტეგრირებული ჰაერის ხარისხის მოდელირებისა და პროგნოზირების სისტემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელებული საქმიანობა ვერ შეფასდება დავალების სრულყოფილ შესრულებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

ბ) სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად და თავიდან ასაცილებლად დროულად მოამზადოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომლითაც, სხვა საკითხებთან ერთად, მოწესრიგდება ნაკელის მართვასთან და პირუტყვის კვებასთან დაკავშირებული საკითხები;

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად და თავიდან ასაცილებლად, არ ყოფილა მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

გ) ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას საფუძვლიანად შეისწავლოს გარემოზე ზემოქმედების ასპექტები, პროექტის განხორციელების შედეგად მოქალაქეებისა და გარემოსთვის მოსალოდნელი ზიანის და პროექტის სარგებლიანობის თანაზომიერების საკითხები, ამასთანავე, ადრეულ ეტაპზე უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირებულობა და ჩართულობა და მაქსიმალურად გაითვალისწინოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები;

იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში ჰიდროელექტროსადგურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები არ ყოფილა მიღებული, შესაბამისად, სამინისტროს საქმიანობა ობიექტური მიზეზის გამო ვერ შეფასდება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: ობიექტური მიზეზის გამო დავალება არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

დ) გააუმჯობესოს დადგენილ ნორმებთან შეუსაბამო ხარისხის საწვავის მიწოდების მონიტორინგის სისტემა, მათ შორის, გაზარდოს იმ ავტოგასამართი სადგურების რაოდენობა, რომლებიდანაც წლის განმავლობაში აიღება საავტომობილო ბენზინისა და დიზელის სინჯები და სრულყოფილად შეფასდება მათში ეროვნულ დონეზე გათვალისწინებული ყველა ნივთიერების მოცულობითი წილი.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა იმ სადგურების რაოდენობა, რომლებიდანაც საწვავის სინჯები აიღეს. აღნიშნულის მიუხედავად, 2019 წელს მხოლოდ დიზელის საწვავის შემოწმება იყო უზრუნველყოფილი, შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობა, ვერ შეფასდება საპარლამენტო დავალების შესრულების სრულყოფილ, თვითკმარ საშუალებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული.</u>

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიმართ 1 დავალება გაიცა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგად, აგრეთვე უწყებასთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა რომ საპარლამენტო **დავალება არ არის შესრულებული.**

საპარლამენტო დავალება:

ა) გააძლიეროს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზიანებული ქონების რეაბილიტაციის/კომპენსაციის სამუშაოების და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის წყაროს მოძიების პროგრამების განხორციელება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, საანგარიშო პერიოდში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზიანებული ქონების რეაბილიტაციის/კომპენსაციის სამუშაოების და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიმართულებით, ხელშესახები აქტივობა არ განხორციელებულა.

<u>საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ შესრულებულა.</u>

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", ფინანსთა სამინისტროს მიმართ 4 დავალება გაიცა.

საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის ადრესატი უწყების ცვლილებამ სამ შემთხვევაში შეუძლებელი გახადა სამინისტროს საქმიანობის შეფასება.

შესაფასებელი 4 საპარლამენტო დავალების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

შესრულდა: 0

არ შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 0

შეფასებას არ ექვემდებარება: 3

საპარლამენტო დავალებები:

ა) 2020 წლიდან საშემოსავლო გადასახადის შეღავათი ვეტერანთა მიმართ გაზარდოს 6 000 ლარამდე, ხოლო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა მიმართ – 9 000 ლარამდე;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ უწყება არ იზიარებს საპარლამენტო დადგენილებაში ასახულ დავალებას, რაც სსიპ-ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მომზადებული კანონის პროექტის მიზანშეუწონლად ცნობით გამოიხატა. კანონის პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერან საქართველოს მოქალაქეთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული, საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული 3000 ლარიანი საშეღავათო ლიმიტის 6000 ლარამდე გაზრდას, ხოლო მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანი საქართველოს მოქალაქეების დასაბეგრი შემოსავლის 9000 ლარამდე გაზრდას.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) დანერგოს მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების დახმარების ღონისძიებები, მათ შორის, გაითვალისწინოს ისინი სოციალური შეღავათების სისტემაში; შექმნას და გააანალიზოს მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაცია;

გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის შექმნას სოციალური დახმარების პროგრამა თავშესაფრის დატოვების შემდეგ მათთვის სოციალური შემწეობის გაუქმების შემდგომი პერიოდისთვის;

დ) უზრუნველყოს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი, ტრავმული გამოცდილების მქონე, რთული ქცევის ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებებისთვის მორგებული ფსიქოსოციალური და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის ინიციირება.

საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარის საფუძველზე, ზემოხსენებული რეკომენდაციები მიემართებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურად დაცვის სამინისტროს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, შეიცვალა რეკომენდაციების ადრესატი უწყება და საპარლამენტო დავალებების შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განისაზღვრა .

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას წარმართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ საპარლამენტო დავალებების ადრესატ უწყებად ფინანსთა სამინისტროს დასახელებამ შეუძლებელი გახადა, დავალებების შესრულების მდგომარეობის განსაზღვრა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: პარლამენტის დადგენილების „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით სამინისტროსადმი გაცემული დავალებები არ ექვემდებარება შეფასებას.</u>

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიმართ 5 დავალება გაიცა.

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კომუნიკაციის შედეგად, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის საფუძველზე საპარლამენტო დავალებების შესრულების თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

შესრულდა: 3

არ შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 1

საპარლამენტო დავალებები:

ა) ხელი შეუწყოს ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ადამიანის უფლებების დაცვისა და სხვა საკითხებზე ბოშების ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებას;

შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კომუნიკაციის შედეგად, არ გამოიკვეთა ისეთი აქტივობა, რომელიც დაადასტურებდა ბოშათა ინფორმირებულობას, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.</u>

ბ) სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში განაგრძოს მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, ბოშების, მხარდაჭერა;

შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კომუნიკაციის შედეგად, დადგინდა რომ საანგარიშო პერიოდში გაიმართა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში არსებული „მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის" თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

2019 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით, უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შეიქმნა პანკისის ხეობის განვითარების 2019-2020 წწ. სამოქმედო გეგმის კონსოლიდირებული დოკუმენტი, აგრეთვე მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების კულტურის პოპულარიზაციისა და წახალისების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი პოზიტიურად აფასებს სახელმწიფო მინისტრის აპარატის გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის პირობებში არ იდენტიფიცირდება ბოშების მხარდამჭერი ხელშესახები აქტივობა, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული აქტივობა ვერ შეფასდება საპარლამენტო დავალების შესრულების სრულყოფილ, თვითკმარ საშუალებად.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის შესრულებული</u>

გ) გააგრძელოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობა პირთა უკანონო დაკავების ფაქტების შესახებ ინფორმაციის დროულად მიღების გზებისა და საშუალებების მოძიების/შემუშავების მიზნით;

დ) გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების (მათ შორის, შესაძლებლობის ფარგლებში – საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სამოქალაქო საზოგადოების) წარმომადგენლებთან კონსულტაციები მოლაპარაკებების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით;

ე) გააძლიეროს დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (განსაკუთრებით – გალის რაიონში) სკოლების მოსწავლეებისა და ახალგაზრდების მიერ არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობის ხელშესაწყობად.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კომუნიკაციის, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ უზრუნველყოფილი იყო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან, სამოქალაქო

საზოგადოებასთან და დონორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის იმგვარი ხარისხი, რამაც თავის მხრივ განაპირობა საპარლამენტო დავალებების შესრულებულად შეფასება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: პარლამენტის დადგენილების „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებით საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიმართ გაცემულიდავალებები შესრულებულია.</u>

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით - „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ 2 დავალება გაიცა.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან კომუნიკაციის შედეგად, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა საპარლამენტო დავალებების შესრულების კუთხით შემდეგი მდგომარეობა:

შესრულდა: 1

არ შესრულდა: 1

საპარლამენტო დავალებები:

ა) გააძლიეროს საარჩევნო უფლებების შესახებ საგანმანათლებლო კამპანია მოქალაქეთათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისა და მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით;

მოქალაქეებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების და მათთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იყო რამდენიმე საგანმანათლებლო აქტივობის ჩატარება.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: დავალება შესრულებულია.</u>

ბ) ჯანსაღი საარჩევნო პროცესის წარმართვის ხელშესაწყობად შეიმუშაოს და პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზოს საარჩევნო პერიოდში სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული ურთიერთშეთანხმების ამსახველი დოკუმენტი

სიძულვილის ენის ერთგვაროვანი განმარტებისა და შესაბამისი განცხადებებისგან თავის შეკავების თაობაზე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, ჯანსაღი საარჩევნო პროცესის წარმართვის ხელშესაწყობად არ შემუშავებულა სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული დოკუმენტი.

<u>**სახალხო დამცველის შეფასება: დავალება არ არის შესრულებული.**</u>

ადგილობრივი თვითმმართველობები

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ საპარლამენტო დავალებების საფუძველზე განხორციელებული საქმიანობის ძირითად ტენდენციებს.

დადგენილებით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს საქართველოს პარლამენტმა 27 დავალება მისცა.

დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, შესაბამისი ინფორმაციის გაზიარების მოთხოვნით, 63 თვითმმართველ ერთეულს მიმართა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ 16 მუნიციპალიტეტს,[25] სახალხო დამცველის აპარატის არც ერთ წერილზე არ გაუცია პასუხი.

საპარლამენტო დადგენილებით, **გენდერული თანასწორობის** უზრუნველსაყოფად თვითმმართველ ერთეულებს პარლამენტმა 3 დავალება მისცა. კერძოდ, მუნიციპალიტეტებს უნდა გადაემზადებინათ გენდერის მრჩევლები სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განსახორციელებლად. აგრეთვე, მათ უნდა ჩაეტარებინათ ქალთა საჭიროებების კვლევა და მის საფუძველზე განეხორციელებინათ ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და უფლებრივი გაძლიერებისკენ მიმართული პროექტები.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ადგილობრივ თვითმმართველობებში, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად შექმნილი საბჭოების და შესაბამისი სამოქმედო გეგმის არსებობა. ამავდროულად, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე იკვეთება, რომ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული გენდერის მრჩევლები/გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირები, სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შესაბამისი ანგარიშგების საკითხებში, არ ყოფილან გადამზადებულნი.

[25] ქედის, საჩხერის, ყვარლის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, ცაგერის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის, ახალქალაქის, გარდაბნის, წალკის და კასპის მუნიციპალიტეტები; რუსთავის თვითმმართველის მერია;

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ქალთა საჭიროებების კვლევები მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილს არ ჩაუტარებია, ხოლო ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროექტების ნაკლებობას, ბიუჯეტში შესაბამისი თანხების უქონლობით ხსნიან.

გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელების მიზნით საქართველოს პარლამენტმა ადგილობრივ თვითმმართველობების მიმართ 4 დავალება გასცა.

ადგილობრივი თვითმმართველობების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სარეკრეაციო ტერიტორიასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ტერიტორიის შენარჩუნების საჯარო ინტერესების გათვალისწინებით იღებენ, ხოლო გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ორჰუსის კონვენციით დადგენილი სტანდარტით არის გარანტირებული.

ამის მიუხედავად, ბათუმსა და ყაზბეგში, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა გამოავლინეს შემთხვევები, სადაც სარეკრეაციო ტერიტორიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება საჯარო ინტერესის გაუთვალისწინებლად მიიღებოდა, ხოლო გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ იყო უზრუნველყოფილი „ორჰუსის კონვენციის" შესაბამისად. მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გააცნობიერონ საპარლამენტო დავალებებში ასახული საკითხების მნიშვნელობა და თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში იხელმძღვანელონ სახალხო დამცველის რეკომენდაციების და პარლამენტის დადგენილებაში ასახული დავალებების შესაბამისად.

რაც შეეხება ტექნიკურად გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტის არსებობას,ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება თვითმმართველი ერთეულების მცდელობა, მოაგვარონ ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებებიდან გამოწვეული პრობლემები.[26]

მუნიციპალიტეტების **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში** კვლავ პრობლემურია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების" და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების" დამტკიცების შესახებ" ტექნიკურ რეგლამენტებთან დაწესებულებების შესაბამისობის საკითხები.

პარლამენტის დადგენილებით მუნიციპალიტეტებს ევალებათ სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესახებ დოკუმენტის მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველი ერთეულების მნიშვნელოვან ნაწილში უკვე არის მიღებული მოცემული დოკუმენტები.

[26] ამბროლაურის, ბორჯომის და ტყიბულის მუნიციპალიტეტები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მნიშვნელოვან ნაწილში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში საკონსულტაციო საბჭოები, მართალია, შექმნილია, თუმცა შესრულებულად ვერ ჩაითვლება საპარლამენტო დავალების ის ნაწილი, რომლის თანახმად, თვითმმართველობებმა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირებაზე ზედამხედველობა.

საჯარო სკოლების ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საპარლამენტო დავალების შესრულების მიზნებისთვის საჭიროა მეტი აქტიურობა და საკითხისადმი მასშტაბური მიდგომა. ცალსახაა რომ მუნიციპალიტეტებში, ამ მიმართულებით არსებული ტემპი ვერ უზრუნველყოფს საპარლამენტო დავალების შესრულებას.

ხარისხიანი **ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით,** საქართველოს პარლამენტმა ადგილობრივ თვითმმართველობებს 4 დავალებით მიმართა.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული გამოწვევების შესწავლისა და შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფის კუთხით, მუნიციპალიტეტების საქმიანობა არადამაკმაყოფილებელია. ადგილობრივი თვითმმართველობები არ აწარმოებენ კვლევებს კონკრეტულ საჭიროებათა გამოსავლენად. ინფრასტრუქტურული განვითარების დაბალ ტემპს და ინკლუზიური განათლების პედაგოგების ჩართულობის ნაკლებობას, თვითმმართველი ერთეულები, შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების უქონლობით ხსნიან.

შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პედაგოგთა გადამზადების პროცესში. მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილში განხორციელდა პედაგოგთა სწავლება, რასაც სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული სივრცის მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით, საპარლამენტო დადგენილებაში 3 დავალებაა ასახული.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სივრცის მოწყობის/სამშენებლო სტანდარტების დანერგვის შესახებ, საპარლამენტო დავალება, სამწუხაროდ მუნიციპალიტეტებს არ შეუსრულებიათ.

მუნიციპალიტეტების მიერ, დიდწილად შესრულებულად შეიძლება შეფასდეს არქიტექტურული და საზედამხედველო სამსახურის პერსონალის გადამზადების აუცილებლობის შესახებ გაცემული საპარლამენტო დავალება.

რაც შეეხება მუნიციპალურ დონეზე ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გაუმჯობესების სტატისტიკის წარმოებას, თვითმმართველი ერთეულების მიერ აღნიშნული საპარლამენტო დავალება თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ არის შესრულებული.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ **ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით** საპარლამენტო დადგენილებაში 2 დავალება აისახა.

მუნიციპალიტეტებს დაევალა ხანდაზმულთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე მათთვის შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავება. მუნიციპალიტეტებში ხანდაზმულთა საჭიროებების კვლევა არ ხორციელდება სისტემატიზირებულად და შესაბამისად, არც მიზნობრივი პროგრამებია შემუშავებული.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საპარლამენტო დადგენილებაში 3 დავალება აისახა.

მუნიციპალიტეტებში სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის საკითხები, მათი მოზიდვის და გადამზადების მიმართულებით. ამ მხრივ საანგარიშო პერიოდშიც არ განხორციელებულა ისეთი საქმიანობა, რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობის გაზრდისკენ იქნებოდა მიმართული.

შედარებით პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ქართული ენის სწავლების შესახებ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილში არსებულ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ჩამოყალიბებულია ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები.

დასკვნა

ანგარიშში შეფასდა პარლამენტის დადგენილებით გაცემული 206 საპარლამენტო დავალების[27] შესრულების მდგომარეობა. აღნიშნულთაგან დავალებების 20% შესრულებულია, 57% შეუსრულებელი, ხოლო 19% ნაწილობრივ შესრულებული.

აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები ციფრებში შემდეგნაირად გამოიყურება:

- **შესრულებულია: 42 საპარლამენტო დავალება;**
- **ნაწილობრივ არის შესრულებული: 38 საპარლამენტო დავალება;**
- **არ არის შესრულებული: 118 საპარლამენტო დავალება;**
- **უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შეუძლებელია შეფასდეს 8 საპარლამენტო დავალების შესრულება;**
- **საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას: 18 საპარლამენტო დავალება;**

[27] აღნიშნულ მაჩვენებელში არ მოიაზრება დავალებები, რომელთა შესრულების მდგომარეობა არ დაექვემდებარა შეფასებას, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიმართ გაცემული დავალებები.

- **უწყებების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო ვერ შეფასდა 8 დავალება.**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა, სახალხო დამცველის რეკომენდაციების უმრავლესობა დადგენილებაში ასახა და იგი სახელმწიფო უწყებებისთვის შესასრულებლად სავალდებულო გახადა, აღნიშნული დავალებების შესრულების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფო უწყებებს გააცნობიერონ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მნიშვნელობა, ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტს მოუწოდეს უზრუნველყოს შესაბამისი საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, რათა პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

ამ პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე სახალხო დამცველი გამოთქვამს მზაობას მუდმივად იყოს ჩართული პროცესში და ყველა დაინტერესებულ მხარეს გაუზიაროს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.